დანართი №2

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

"ფინანსები" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

"აღრიცხვა და აუდიტი" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 17-18.09.2024

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 18
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 25
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 29
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 39

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212677094
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფ. დაივა იურევიჩიენე, ვილნიუსის გედიმინასის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიეტუა
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფ. ელენე ჯღარკავა, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფ. დავით სიხარულიძე, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფ. თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანჟელა აბულაძე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

1. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფინანსები	აღრიცხვა და აუდიტი
უმაღლესი განათლების საფეხური	დონე 7	დონე 7
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი აღრიცხვასა და დაბეგვრაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა	0411 აღრიცხვა და დაბეგვრა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 კრედიტი	120 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება No. 71, 24.09.2018	აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება No. 1095833, 16.09.2022

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]**

შპს ქუთაისის უნივერსიტეტს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი აქვს კლასტერში დაჯგუფებული ორი სამაგისტრო პროგრამა - "ფინანსები" და "აღრიცხვა და აუდიტი". "აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო პროგრამა აკრედიტებულია 2022 წელს, ხოლო "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში და ჯერ არ მინიჭებია აკრედიტაცია. ორივე პროგრამა ისწავლება ქართულ ენაზე, რაც გამორიცხავს საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის შესაძლებლობას. "აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო პროგრამა უნიკალურია საქართველოში, ხოლო "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე. ორივე პროგრამის სწავლის საფასური კონკურენტუნარიანია ქვეყანაში.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების უპირატესობას წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი - ორივე პროგრამას გააჩნია გარე მხარდამჭერი კოლეგიალური შეფასებები ევროპის და საქართველოს უნივერსიტეტებისგან და კომპანიისგან.

თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა მიღება ორივე პროგრამაზე. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაცია მზად არის უზრუნველყოს მხარდაჭერა და შეეცადოს გაზარდოს სტუდენტების რაოდენობა.

ორივე პროგრამა შექმნილია შრომის ბაზრის მოთხოვნების და საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით. ორივე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია ყოვლისმომცველი სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს 120 კრედიტს; სწავლის ხანგრძლივობა 2 წელია. პროგრამის სტრუქტურა შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან: ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები, თავისუფალი კომპონენტი და კვლევითი კომპონენტი. თუმცა, პროგრამების სტრუქტურა განსხვავებულია.

"ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები შეადგენს 74 კრედიტს, რომელიც შემდგომ იყოფა სავალდებულო (62 კრედიტი) და არჩევით (12 კრედიტი) კურსებად. არჩევით კურსებს შორის პროფესიული პრაქტიკა მოიცავს 8 კრედიტს. თავისუფალი კომპონენტი, რომელიც შექმნილია ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, შეადგენს 21 კრედიტს. აღნიშნული მოიცავს 14 კრედიტს სავალდებულო კურსებისთვის და 7 კრედიტს არჩევითი კურსებისთვის, რომელთა არჩევა შესაძლებელია უნივერსიტეტის ნებისმიერი შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამიდან. პროგრამის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი - 25 კრედიტის მოცულობით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ითვალისწინებს პროფესიულ პრაქტიკას, არსებობს გამონაკლისები იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი სამუშაო გამოცდილება; ასეთ შემთხვევებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ პრაქტიკა, როგორც არჩევითი კომპონენტი. პროგრამის მოქნილი სტრუქტურა სტუდენტს საშუალებას აძლევს ჩაანაცვლოს თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსები ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსებით.
ადგილობრივი გარე შემფასებლის რეკომენდაციის თანახმად, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა "საჯარო ფინანსები" და "ბიზნესის შეფასება". საერთაშორისო დამოუკიდებელი შემფასებლის რჩევის თანახმად, "პროექტის მენეჯმენტი" განისაზღვრა როგორც ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი, ხოლო "მდგრადი ფინანსები" და "საბანკო მენეჯმენტი" დაემატა ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალს. "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებული ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

შედარების შედეგად, სასწავლო კურსები "ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები" და "საინვესტიციო მენეჯმენტი" პროგრამაში განისაზღვრა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების სახით. შედარებით ანალიზში გამოვლენილი მახასიათებლების გათვალისწინებით, განხორციელდა პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის "ლიდერობის" მოდიფიცირება. საქართველოს და შერჩეული ევროპული უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების ანალიზის საფუძველზე, პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა "ბიზნესის შეფასება".

"აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ძირითადი სწავლის სფეროს კურსები, რომლებიც წარმოადგენენ პროგრამის მთავარ ორიენტაციას, ჯამში შეადგენენ 81 კრედიტს. აღნიშნული კომპონენტი იყოფა სავალდებულო და არჩევით ნაწილებად. სავალდებულო კურსები მოიცავს 73 კრედიტს, ხოლო არჩევითი კურსები, პროფესიული პრაქტიკის ჩათვლით, მოიცავს 8 კრედიტს. თავისუფალი კომპონენტი, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, შედგება 14 კრედიტისგან. აღნიშნული მოიცავს 9 კრედიტს სავალდებულო კურსებისთვის და 5 კრედიტს არჩევითი კურსებისთვის. სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ არჩევითი კურსები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამიდან, იმ შემთხვევაში თუ ისინი აკმაყოფილებენ აღნიშნული კურსების წინაპირობებს. პროგრამის მესამე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს კვლევითი ნაწილი, რომელიც გვევლინება სამაგისტრო ნაშრომის სახით და მოიცავს 25 კრედიტს. აღნიშნული კომპონენტი ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას და პრაქტიკულ გამოყენებას.

ადგილობრივი გარე შემფასებლის რეკომენდაციის თანახმად, დაზუსტდა პროგრამის ერთ - ერთი სწავლის შედეგის ფორმულირება. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ფორმულირება შეიცვალა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით. საერთაშორისო დამოუკიდებელი შემფასებლის რჩევის თანახმად, პროგრამას დაემატა ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები. ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების ანალიზის და შესწავლის საფუძველზე, პროგრამას დაემატა რამდენიმე სასწავლო კურსი: სტრატეგიული მენეჯმენტი, ფინანსური აღრიცხვის ელექტრონული პროგრამები, სააღრიცხვო ანგარიშგება და ანალიზი (კურსები გაერთიანდა) და ა.შ.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტი სათანადოდ იყო ორგანიზებული. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრისას, რექტორმა აღწერა დაწესებულების როლი რეგიონში და მთავარი მიღწევები, მათ შორის კვლევითი საქმიანობის მიმართულებით მოგებული პროექტი. უნივერსიტეტს გააჩნია გაცვლითი პროგრამები, რომლის ფარგლებშიც ზოგიერთი სტუდენტი სწავლობს უცხოურ უნივერსიტეტებში და სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ვებინარებში. ადმინისტრაცია ირწმუნება, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მათ შეუძლიათ აღნიშნული სასწავლო პროგრამების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა და გეგმავენ საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვას, შესაბამისად სწავლება უნდა განხორციელდეს ინგლისურ ენაზეც.

დამსაქმებლებთან შეხვედრისას გამოვლინდა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი მოთხოვნა ფინანსების სპეციალისტებზე, თუმცა უნივერსიტეტში მიღების შედეგები არ ასახავს აღნიშნულს. დამსაქმებლებთან შეხვედრებმა ასევე გამოავლინა, რომ დამსაქმებლები აქტიურად არ არიან ჩართულნი პროგრამის მონიტორინგში და დისკუსიებში მონაწილე არცერთ პირს არ განუხორციელებია სტაჟირება აღნიშნული პროგრამებისთვის.

უნივერსიტეტი მნიშვნელოვნად უჭერს მხარს აფილირებულ პროფესორებს თავიანთი სამეცნიერო და აკადემიური შესაძლებლობების განვითარებაში.

შენობა - ნაგებობები, აუდიტორიები, აღჭურვილობა, კომპიუტერები და ბიბლიოთეკა შესაფერისია სწავლების განსახორციელებლად. თუმცა, სასწავლო პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს მეტი პროგრამული უზრუნველყოფა. უნივერსიტეტს აქვს წვდომა Scopus - ის მონაცემთა ბაზაზე; მაგისტრატურის სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა უნდა გამოიყენონ აღნიშნული მონაცემთა ბაზები თავიანთ კვლევებში.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო პროგრამები შემუშავებულია ევროპული სტანდარტების და ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და იცავს უნივერსიტეტის შიდა მოთხოვნებს. ორივე პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო ტენდენციებს. ისინი უზრუნველყოფენ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც მიზნად ისახავენ კურსდამთავრებულების მომზადებას პრაქტიკული სამუშაოს და აკადემიური კარიერისთვის. პროგრამებისთვის დამახასიათებელია ინტერნაციონალიზაციის ელემენტები,

რაც გამოხატულია გაცვლითი პროგრამების, ინგლისურენოვანი ლიტერატურის (გარკვეული გამონაკლისებით) და კურსების სახით.

ორივე პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტური და მიღწევადია პროგრამის რესურსების და ხანგრძლივობის ფარგლებში. ისინი შეესაბამება სტუდენტების შესაძლებლობებს და დარგის თანამედროვე მოთხოვნებს. ორივე პროგრამის სწავლის შედეგები ეფექტურია, პრაქტიკულია და შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტებს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მიუხედავად ამისა, მისანიჭებელი კონკრეტული კვალიფიკაციების გათვალისწინებით, სასურველია პროგრამების სტრუქტურის მცირედით კორექტირება. სილაბუსებში კურსების შინაარსი ჩვეულებრივ შეესაბამება განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და ხელს უწყობს მათ მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებზე მიღების მოთხოვნები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ცოდნის და უნარების მქონე აპლიკანტების მიღებას.

სამაგისტრო პროგრამები ორიენტირებულია სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. ორივე პროგრამის ფარგლებში კვლევითი უნარების გაუმჯობესების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომი. უსდ - ს შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის / თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას და განვითარებას. თუმცა, სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაცია ეწინააღმდეგება აკადემიური სტილის წესებს, შესაბამისად, უნდა გაუმჯობესდეს სამაგისტრო ნაშრომის ხარისხი.

სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტებს მიეწოდებათ სრული ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტის სერვისების შესახებ (მათ შორის ელექტრონული პლატფორმის და სტუდენტთა საინფორმაციო სისტემის შესახებ). პროგრამები მხარდაჭერილია საჭირო ინფრასტრუქტურით და ობიექტებით. აუდიტორიები სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, მათ შორის ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერებით, ინტერაქტიული დაფებით, პროექტორებით და აუდიოვიზუალური მასალებით, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და პროფესორებისთვის. მიუხედავად ამისა, სასურველია საბიბლიოთეკო რესურსების რეგულარულად განახლება უახლესი

გამოცემებით.

სამაგისტრო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე კვალიფიციური პერსონალი. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განხორციელებული გამოქვეყნებებით. შემუშავებულია აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის დეტალური სქემა. სტუდენტები იღებენ ადეკვატურ მხარდაჭერას შესაბამისი კომპეტენციის მქონე საკმარისი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისგან. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს. პროგრამების ხელმძღვანელები არიან კვალიფიციური აკადემიური პირები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე და იყენებს თანაბარ პირობებს პერსონალის ყველა კატეგორიისთვის, მათ შორის აკადემიური პერსონალის ფინანსურ წახალისებას იმ შემთხვევაში თუ ისინი აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს. პერსონალის შესაძლებლობების განვითარების დაგეგმვისას ასევე გათვალისწინებულია შეფასების შედეგები. თუმცა, დაწესებულებამ უნდა წაახალისონ მეტი გამოქვეყნება იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში.

უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრულია "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურებით". უნივერსიტეტში პროგრამის შეფასება ხორციელდება თანმიმდევრულად და ზოგადად შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. გარე ხარისხის უზრუნველყოფა უნივერსიტეტში ძირითადად ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული აკრედიტაციის და ავტორიზაციის პროცესების მეშვეობით. გარდა ამისა, ორივე პროგრამა მხარდაჭერილია გარე ეროვნული და საერთაშორისო კოლეგიალური შეფასებებით და მათი მოსაზრებების საფუძველზე უნივერსიტეტმა მცირედით შეცვალა პროგრამები. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პროგრამების მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას. ორივე პროგრამა შედარებული იყო მსგავს ან მონათესავე (აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამის შემთხვევაში) ეროვნულ და ევროპულ პროგრამებთან და განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. თუმცა, უნივერსიტეტმა პროგრამების განვითარების პროცესში უნდა გააძლიეროს დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით დამსაქმებლების ჩართულობა.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები

1.1 პროგრამის მიზნები

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ განახორციელოს მიმდინარე სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პოტენციური აპლიკანტების დეტალური გამოკითხვა, პროგრამების შესახებ მათი მოსაზრებების და ჩარიცხვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ბარიერის დასადგენად.

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების ბლოკს დაემატოს სტრატეგიული მარკეტინგის სასწავლო კურსი.

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- რეკომენდებულია, განახლდეს სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები. ყველა სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნებს – თეორიული ნაწილი, მეთოდოლოგიური ნაწილი და

პრაქტიკული ნაწილი (რომელიც უკავშირდება ავტორის მიერ განხორციელებულ კვლევას).

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით გადაიხედოს სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალები. ანუ, ყველა საგანში გადაიხედოს სტუდენტებისთვის შეთავაზებული ლიტერატურა. რეკომენდებულია, ყველა კურსში გათვალისწინებული იყოს მინიმუმ ერთი საერთაშორისო რესურსი, სასურველია გამოქვეყნებული იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტუდენტების მომზადება კვლევის მეთოდოლოგიაში, აკადემიურ წერაში და მონაცემთა ანალიზში.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე წვდომა, რაც მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის, და მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სწავლებაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას (R, Stata და ა.შ.).

2.4. სტუდენტების შეფასება

- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს მისცენ უფრო ზუსტი მითითებები ლიტერატურული წყაროების ციტირების და სამაგისტრო ნაშრომში აკადემიური სტილის წესებთან შესაბამისობის შესახებ.
- უმჯობესია, ლექტორებმა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით სტუდენტებს მიაწოდონ უკეთესი უკუკავშირი და გაუმჯობესონ მათი ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი სფეროების შედეგები.

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- რეკომენდებულია, დაინერგოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესი, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა კვლევის განხორციელების სტანდარტებთან.

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის გაძლიერება, იმისათვის, რომ მათ უფრო ინტენსიურად გამოაქვეყნონ საერთაშორისო აკადემიურ ჟურნალებში.

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ პრიორიტეტი მიანიჭოს და გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის კვლევითი შედეგების გამოქვეყნება სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში შემავალ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, როგორიც არის იმპაქტ-ფაქტორის მქონე CA ან Scopus -ი.

კლასტერის საერთო რჩევები:

1.1 პროგრამის მიზნები

- სასურველია, გაძლიერდეს მარკეტინგული და ინფორმაციის მიწოდების აქტივობები, იმისათვის, რომ პოტენციურმა სტუდენტებმა უკეთ მიიღონ ინფორმაცია აღნიშნული პროგრამების ღირებულების და კარიერული პერსპექტივების შესახებ.

1.2 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- სასურველია, დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით დამსაქმებლების, ჩართულობის გაძლიერება პროგრამის განვითარების პროცესში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

- სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ასევე გაცვლით პროგრამებში.

4.4. მატერიალური რესურსი

- სასურველია, ბიბლიოთეკის რესურსები რეგულარულად განახლდეს ახალი გამოცემებით, მათ შორის საერთაშორისო გამოცემებით, რაც პროგრამას შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით უზრუნველყოფს.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს სტრატეგია პროგრამების თვითშეფასების და განვითარების პროცესში დამსაქმებლების ჩართულობის გასაზრდელად.

რჩევები პროგრამების მიხედვით:

1.5. აკადემიური კურსი / საგანი პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

- სასურველია, "ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების" და "ინვესტიციების მართვის" სასწავლო კურსების შინაარსის გადახედვა.

პროგრამა 2 ("აღრიცხვის და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

- სასურველია, გადაიხედოს "სტრატეგიული მენეჯმენტის" სასწავლო კურსის უნარების კომპონენტი და "საჯარო სექტორის აუდიტის" სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- გასაუბრებებში მონაწილე ყველა აკადემიურ პერსონალს გააჩნია საკუთარი ORCID.
- უნივერსიტეტს აქვს წვდომა Scopus-ის მონაცემთა ბაზაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისა და აკადემიური პერსონალისთვის კვლევების განსახორციელებლად.
- უნივერსიტეტს აქვს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის სისტემა.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**
  ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და გადაწყვიტა, რომ რეკომენდაციები და რჩევები უცვლელად დაეტოვებინა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

"ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში. უნივერსიტეტის განცხადებით, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით არსებობდა რამდენიმე რჩევა და რეკომენდაცია; თუმცა, მათ ვერ წარმოადგინეს კონკრეტული მაგალითები მათი გათვალისწინების შესახებ.

"აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 16 სექტემბრის №1095833 გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს აკრედიტაცია. პროგრამისთვის განისაზღვრა კონკრეტული რჩევები და რეკომენდაციები და მოხდა მათი გათვალისწინება. მაგალითად:

- განხორციელდა ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში და კანდიდატის მიერ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ინგლისურ ენაზე (საქართველოში ან საზღვარგარეთ) დასრულება, განისაზღვრა როგორც ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი მაჩვენებელი, უფრო კონკრეტულად, დაზუსტდა საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურები.
- შეიცვალა სასწავლო გეგმა. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები: "პროექტის მართვა" და "სტრატეგიული მარკეტინგი" გადავიდა მეოთხე სემესტრში. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი აკმაყოფილებს სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პირობებს და გათავისუფლდება "პროფესიული პრაქტიკის" გავლისგან, სტუდენტს ექნება შესაძლებლობა პროფესიული პრაქტიკისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა დააგროვოს იმავე სემესტრში შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსების ფარგლებში. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მკაფიოდ განისაზღვრა მაგისტრანტის "პროფესიული პრაქტიკისგან" გათავისუფლების კრიტერიუმები / პირობები.
- პროგრამას დაემატა განმარტება, თუ რა წარმოადგენს თანახელმძღვანელისთვის გამორჩეულ პრაქტიკულ გამოცდილებას. პროგრამის კომიტეტმა უნდა დაადასტუროს თანახელმძღვანელობის კანდიდატის შესაბამისობა.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1.კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[3]
2.კლასტერული შეფასება[4]

სტანდარტი / კომპონენტი	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური

[3] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[4] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.
1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტი ახორციელებს ორ სამაგისტრო პროგრამას: "ფინანსების" და "აღრიცხვასა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს. ორივე პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს, ძირითადად ხორციელდება ქართულ ენაზე, თუმცა მოიცავს ინგლისურენოვან კომპონენტებს. პროგრამების ხანგრძლივობა არის 2 წელი (4 სემესტრი), მოიცავს 120 კრედიტს და ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს.

"ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა მიეკუთვნება ფინანსების, საბანკო საქმის და დაზღვევის დარგს (კოდი 0412) და მიზნად ისახავს ფინანსების სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნის მიწოდებას, სტრატეგიული და ინოვაციური აზროვნების განვითარებას. "აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია აღრიცხვასა და დაბეგვრაზე (კოდი 0411) და მიზნად ისახავს აღრიცხვის და აუდიტის სფეროში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას.

ორივე პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების და საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით. პროგრამები უზრუნველყოფენ როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ უნარებს, მიზნად ისახავენ კურსდამთავრებულების მომზადებას როგორც პრაქტიკული საქმიანობისთვის, ისე აკადემიური კარიერისთვის. პროგრამები ხასიათდება ინტერნაციონალიზაციის ელემენტებით, რაც გამოხატულია გაცვლითი პროგრამებით, ინგლისურენოვანი ლიტერატურით (გარკვეული გამონაკლისებით) და კურსებით.

პროგრამები შემუშავებულია თანამშრომლობით, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და მიზნად ისახავს კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის გაზრდას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

უნივერსიტეტის მისიაა აკადემიურად კომპეტენტური პერსონალის განვითარება, რომელთა ცოდნა შეესაბამება საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრების მოთხოვნებს. აღნიშნული პირები აღჭურვილნი იქნებიან იმისათვის, რომ ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში და მათ შესაბამის სფეროებში, ასევე ეკონომიკურ გაუმჯობესებაში. გარდა ამისა, მისია ითვალისწინებს აკადემიური საზოგადოების გაძლიერებას ადგილობრივ დონეზე, ასევე ახალი ცოდნის გენერირების და გავრცელების ხელშეწყობას, როგორც უნივერსიტეტის რესურსების, ასევე რეგიონის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი ანალიზი ავლენს მათ შესაბამისობას უნივერსიტეტის მისიასთან და საგანმანათლებლო მიზნებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)[5]

ქუთაისის უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის პროგრამას. პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის მისიის და ღირებულებების, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების და საერთაშორისო ტენდენციების შესაბამისად.

სწავლების ძირითადი ენა ქართულია; თუმცა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ რამდენიმე კურსი ინგლისურ ენაზე, რაც ზრდის მათ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას. პროგრამა ატარებს აკადემიურ ხასიათს და ორიენტირებულია ფინანსების, საბანკო საქმის და დაზღვევის სპეციალიზებულ სფეროზე (კოდი 0412). კურსდამთავრებულებს, რომლებიც წარმატებით დაასრულებენ პროგრამას ენიჭებათ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ფინანსებში.

პროგრამის ხანგრძლივობა ორი წელია (ოთხი სემესტრი) და შედგება 120 კრედიტისგან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ფინანსების სფეროს ყოვლისმომცველ გაგებას და წარმატებისთვის აუცილებელი უნარების განვითარებას.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სტუდენტებისთვის ფინანსებში ღრმა და სისტემური ცოდნის მიწოდებას, სტრატეგიული და ინოვაციური აზროვნების ჩამოყალიბებას, აკადემიური კვლევის, გუნდური მუშაობის და ლიდერობის უნარების განვითარებას. გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებში სოციალური, სამართლებრივი და ეთიკური პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის განვითარებას.

აღნიშნული ჰოლისტური მიდგომა კურსდამთავრებულებს ამზადებს როგორც ფინანსური მენეჯერის, ისე

[5] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

აკადემიური მკვლევრის პოზიციებისთვის, რაც აფართოებს მათ კარიერულ შესაძლებლობებს.

პროგრამის მიზნები მკაფიოდ და კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული და დეტალურად აღწერს, თუ რის მიღწევას ისახავს მიზნად პროგრამა. თითოეული მიზანი მიმართულია კონკრეტული შედეგებისკენ, პირდაპირ უკავშირდება ფინანსების სფეროს და შეესაბამება პროგრამის პროფილს. მიზნები მოიცავს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ უნარებს, აქცენტით თანამედროვე ტექნოლოგიებზე. პირველი მიზანი ორიენტირებულია ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრებისთვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე. მეორე და მესამე მიზნები ხაზს უსვამენ სპეციფიკური პროფესიული კომპეტენციების განვითარებას, მათ შორის თანამედროვე საინფორმაციო სისტემების გამოყენებას და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას.

პროგრამის მიზნები შეესაბამება სამაგისტრო დონის პროგრამისადმი არსებულ მოლოდინებს და ასახავენ დარგში არსებულ თანამედროვე ტენდენციებს და მოთხოვნებს. თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს შორის არსებული ბალანსი შეეფერება მაგისტრატურის დონეს.

პროგრამის დიზაინი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის მისი ხანგრძლივობა, სტრუქტურა, რესურსები, სასწავლო გეგმა და აკადემიური პერსონალი. პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო ფინანსების განათლების სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებები. პროგრამა აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს შესაბამის პროფესიულ სფეროებში და ასევე უზრუნველყოფს ძლიერ საფუძველს განათლების უფრო მაღალ საფეხურებზე გასაგრძელებლად, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების მიერ პრაქტიკული დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების ფლობას.

პროგრამის შემუშავების პროცესი არის თანამშრომლობითი და გასაუბრებემა გამოავლინა, რომ დაინტერესებული მხარეები მეტ - ნაკლებად მონაწილეობდნენ მის შექმნაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და ანალიზის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. სწავლების ძირითადი ენა არის ქართული, თუმცა სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ ზოგიერთი კურსი ინგლისურ ენაზე, რაც ზრდის მათ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას. პროგრამა ორიენტირებულია ბუღალტრულ აღრიცხვასა და დაბეგვრაზე (კოდი 0411), მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, რაც ასახავს ბიზნესის მიმართულების ფართო განათლებას, სპეციფიკური აქცენტით აღნიშნულ სფეროებზე. პროგრამის ხანგრძლივობა არის ორი წელი (ოთხი სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს.

პროგრამის აღრიცხვასა და დაბეგვრაზე ორიენტაცია ინგლისურენოვან კურსებთან ერთად, უზრუნველყოფს სტუდენტებს სპეციალიზებული ცოდნით და ამავდროულად ზრდის მათი საერთაშორისო დასაქმების შესაძლებლობებს. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი კურსდამთავრებულებს აღჭურვავს ყოვლისმომცველი ბიზნეს უნარებით და სპეციფიკური გამოცდილებით, რაც მათ ამზადებს აღრიცხვის, აუდიტის, საგადასახადო კონსულტირების ან ბიზნესის მართვის სფეროს კარიერისთვის.

აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამის მიზნებია:

1. კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრებისთვის, მათთვის აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში ღრმა თეორიული ცოდნის მიწოდება და პრაქტიკული უნარების განვითარება.
2. სტუდენტების უნარის განვითარება შეაფასონ, შექმნან და გააუმჯობესონ ფინანსური და მენეჯერული

აღრიცხვის სისტემები, ასევე ცოდნის მიწოდება აუდიტის დაგეგმვის და ჩატარების მეთოდების შესახებ.

3. პროფესიონალების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის პროცესებში თანამედროვე საინფორმაციო სისტემების ეფექტურად გამოყენებას, ასევე ეფექტური ბიზნესის მართვისთის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას.

აღნიშნული მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და კონკრეტულად აღწერს პროგრამის დასახულ მიღწევებს. თითოეული მიზანი კარგად არის განსაზღვრული და ორიენტირებულია გაზომვად შედეგებზე. მიზნები პირდაპირ შესაბამისობაშია აღრიცხვისა და აუდიტის სფეროსთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის პროფილთან თანხვედრას. ისინი მოიცავენ როგორც თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციას. პირველი მიზანი ხაზს უსვამს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის. მეორე და მესამე მიზნები ორიენტირებულია სპეციფიკური პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე, განსაკუთრებით თანამედროვე საინფორმაციო სისტემებზე და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაზე.

პროგრამის მიზნები შეესაბამება სამაგისტრო დონის მოლოდინებს. ისინი ასახავენ სფეროში არსებულ მიმდინარე მოთხოვნებს და ტენდენციებს, აბალანსებენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტებს, რაც შეესაბამება სამაგისტრო პროგრამას.

პროგრამის დიზაინი ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიც არის ხანგრძლივობა, სტრუქტურა, რესურსები, სასწავლო გეგმა და აკადემიური პერსონალი. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო აღრიცხვის და დაბეგვრის სფეროს უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები. პროგრამა შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს კურსდამთავრებულთა პროფესიულ სფეროებში და ამავდროულად ქმნის მყარ საფუძველს განათლების უფრო მაღალ საფეხურებზე გასაგრძელებლად. პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციებს.

პროგრამის შემუშავება არის თანამშრომლობითი პროცესი და გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ დაინტერესებული მხარეები გარკვეულწილად მონაწილეობდნენ პროგრამის შექმნაში.

პროგრამის ინტერნაციონალიზაცია მხარდაჭერილია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით. დამატებით, როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების გაცვლითი პროგრამები ხელს უწყობს პროგრამის გლობალურ განზომილებას. ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენება (გარკვეული გამონაკლისებით) და ზოგიერთი კურსის ინგლისურ ენაზე სწავლება კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამის საერთაშორისო ხასიათს.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა. შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში აჩვენებს, რომ აღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულებზე არსებობს მოთხოვნა; თუმცა, ბოლო წლებში აღნიშნულ პროგრამებზე შემცირდა სტუდენტების რაოდენობა და აღნიშნული სიმცირე შესამჩნევია.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უსდ - მ აღნიშნული მიმართულებით უნდა განახორციელოს დამატებითი კვლევა, იმისათვის, რომ გამოავლინოს სტუდენტების შემცირების და სიმცირის მიზეზები. შემდგომში, უსდ - მ სათანადოდ უნდა უპასუხოს გამოვლენილ პრობლემებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

საგანმანათლებლო პროგრამა;

- შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ განახორციელოს მიმდინარე სტუდენტების, ახლადკურსდამთავრებულების და პოტენციური აპლიკანტების დეტალური გამოკითხვა, პროგრამების შესახებ მათი მოსაზრებების და ჩარიცხვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ბარიერის დასადგენად.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, გაძლიერდეს მარკეტინგული და ინფორმაციის მიწოდების აქტივობები, იმისათვის, რომ პოტენციურმა სტუდენტებმა უკეთ მიიღონ ინფორმაცია აღნიშნული პროგრამების ღირებულების და კარიერული პერსპექტივების შესახებ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

ქუთაისის უნივერსიტეტი ახორციელებს ორ სამაგისტრო პროგრამას: "ფინანსების" და "აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს. ორივე პროგრამა შემუშავებულია საერთო პრინციპების საფუძველზე და გააჩნიათ მსგავსი მახასიათებლები.

"აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო პროგრამას აქვს 11 სწავლის შედეგი, ხოლო "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამას - 9. ორივე პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მათ მიზნებს და მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობებს და ავტონომიურობას. შედეგები ჩამოყალიბებულია ისეთი ფორმით, რომ შესაძლებელია მათი ობიექტური შეფასება და გაზომვა სპეციფიკური მეთოდების გამოყენებით.

სწავლის შედეგები რეალისტური და მიღწევადია პროგრამის რესურსების და ხანგრძლივობის ფარგლებში. ისინი შეესაბამება სტუდენტების შესაძლებლობებს და დარგის თანამედროვე მოთხოვნებს. ორივე პროგრამის სწავლის შედეგები ეფექტურია, პრაქტიკულია და შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტებს.

ორივე პროგრამის სწავლის შედეგები მეტ -ნაკლებად შემუშავებულია თანამშრომლობით, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. გარდა ამისა, დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი არიან სწავლის შედეგების შესახებ.

ორივე პროგრამა დემოსტრირებს ანალოგიურ მიდგომას სწავლის შედეგების განსაზღვრისას და ფორმულირებისას, რაც მიუთითებს უნივერსიტეტის მიერ სამაგისტრო პროგრამების შემუშავებაში ერთიან და თანმიმდევრულ მიდგომაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

"ფინანსების" სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია ცხრა სწავლის შედეგი. აღნიშნული სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და მოიცავს ძირითად შინაარსობრივ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. შედეგები ფორმულირებულია ისეთი სახით, რომ შესაძლებელია მათი ობიექტური შეფასება და გაზომვა სპეციფიკური მეთოდების გამოყენებით. ისინი წარმოადგენენ პროგრამის მიღწევად შედეგებს, არსებული რესურსების და ხანგრძლივობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სტუდენტების შესაძლებლობებს და თანამედროვე ინდუსტრიის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს მათ პრაქტიკულობას და საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობას.

გასაუბრებების დროს გამოვლინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავდა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, რომლებიც ინფორმირებულნი იყვნენ მთელი პროცესის განმავლობაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და ანალიზის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

"აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია 11 სწავლის შედეგი, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს. აღნიშნული შედეგები მოიცავს მნიშვნელოვან შინაარსობრივ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ასპექტებს. შედეგები შემუშავებულია ისე, რომ იყოს გაზომვადი და ობიექტურად შეფასებადი სპეციფიკური მეთოდების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მათ მიღწევადობას პროგრამის რესურსების და ხანგრძლივობის ფარგლებში.

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სტუდენტების შესაძლებლობებს და ინდუსტრიის თანამედროვე მოთხოვნებს, რაც მათ ხდის პრაქტიკულს და ეფექტურს სტუდენტების დარგისთვის მომზადებაში. გარდა ამისა, აღნიშნული სწავლის შედეგების შემუშავებისას მნიშვნელოვანი იყო დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რაც ხაზს უსვამს პროგრამის შემუშავების პროცესში

თანამშრომლობით მიდგომას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- "აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო პროგრამა
- "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა
- სილაბუსი
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით დამსაქმებლების, ჩართულობის გაძლიერება პროგრამის განვითარების პროცესში.

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია დამტკიცდა რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №15 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი აღწერს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიას, დეტალურად წარმოადგენს შეფასების პროცესს, მეთოდებს და შედეგებზე რეაგირების სტრატეგიებს.

მეთოდოლოგია მოიცავს შეფასების სამ ძირითად მეთოდს: ორ პირდაპირ მეთოდს და ერთ არაპირდაპირ მეთოდს. პირველი პირდაპირი მეთოდი მოიცავს სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს, ხოლო მეორე აფასებს პროგრამის სწავლის შედეგებს წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით. არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს დაინტერესებული მხარეების, მათ შორის კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვას.

შეფასების პროცესი ხორციელდება რეგულარულად, ყოველ სემესტრში ან ყოველწლიურად და მოიცავს პროგრამის ყველა სავალდებულო კომპონენტს. ფასდება სტუდენტების მინიმალური რაოდენობა, მოთხოვნილია მინიმუმ 10 მონაწილე. შედეგების ანალიზისას განისაზღვრება სპეციფიკური ზღვრები და შედეგების ანალიზი ხორციელდება დროთა განმავლობაში, ჩვეულებრივ სამი წლის მონაცემების საფუძველზე.

რეაგირების პროცესი შედგება ორი ძირითადი ეტაპისგან: მიზეზების გამოკვლევა (ფოკუს ჯგუფების და გასაუბრებების მეშვეობით) და სპეციფიკური ცვლილებების განხორციელება (როგორიც არის სწავლების მეთოდების, კრედიტების განაწილების და შეფასების ტექნიკების კორექტირება). აღნიშნულ პროცესში მონაწილეობს რამდენიმე მხარე: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აინიცირებს და კოორდინირებას უწევს შეფასებას, პროგრამის მენეჯერი ატარებს შეფასებას და ანალიზს, ხოლო პროგრამის კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს საჭირო რეაგირების შესახებ. დოკუმენტი ხაზს უსვამს შეფასების პროცესის მნიშვნელობას პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის და გაუმჯობესების მიზნით. ის უზრუნველყოფს სისტემურ მიდგომას სწავლის შედეგების შეფასებისთვის და გაუმჯობესებისთვის, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

დადგენილი მეთოდოლოგიის საფუძველზე, შემუშავებულია და მე-4 დანართში წარმოდგენილია"ფინანსების" სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტი აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, სადაც დეტალურად არის გაწერილი ცხრა განსხვავებული სწავლის შედეგი, რომლებიც მოიცავენ ფინანსების თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარებს, ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას, ლიდერობის და კომუნიკაციის უნარებს, კვლევით კომპეტენციებს და ეთიკურ და პროფესიულ ღირებულებებს.

თითოეული სწავლის შედეგისთვის მოცემულია კონკრეტული შეფასების ინდიკატორები, რომლებიც განმარტავს, თუ რისი დემონსტრირება უნდა შეძლოს სტუდენტმა აღნიშნული შედეგის მისაღწევად. აღნიშნულ ინდიკატორებთან ერთად წარმოდგენილია შეფასების რუბრიკა,

რომელიც განსაზღვრავს მიღწევის სამ დონეს: "არ აკმაყოფილებს", "მეტწილად აკმაყოფილებს" და "აკმაყოფილებს". აღნიშნული რუბრიკა ხელს უწყობს სტუდენტების მოსწრების ობიექტურ შეფასებას.

დამატებით, დოკუმენტი მოიცავს ცხრილებს, რომლებიც განსაზღვრავენ თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად გამოყენებულ სასწავლო კურსებს და შეფასების მეთოდებს (მაგ. ესეები, პრეზენტაციები, თეორიული კითხვები, დავალებები). აღნიშნული ცხრილები აჩვენებს, თუ როგორ არის ინტეგრირებული სწავლის შედეგები პროგრამის სხვადასხვა კურსში.

დოკუმენტის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილ ცხრილში, დეტალურად არის აღწერილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და მითითებულია, რომ შეფასებები განხორციელდება სამი აკადემიური წლის განმავლობაში (2025-2026, 2026-2027 და 2027-2028). აღნიშნული განრიგი მიუთითებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამა გადის რეგულარულ განხილვას და შეფასებას.

მთლიანობაში, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დეტალურ და სტრუქტურირებულ მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფას და სტუდენტების მიღწევების ობიექტურ შეფასებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და ანალიზის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

დადგენილი მეთოდოლოგიის საფუძველზე, შემუშავებულია და მე-4 დანართში წარმოდგენილია "აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის დანართს და აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას. დოკუმენტი დეტალურად აღწერს 11 განსხვავებულ სწავლის შედეგს, რომლებიც მოიცავენ ფინანსური აღრიცხვის, აუდიტის, ბიზნესის ადმინისტრირების, ანალიზის, კვლევის და პროფესიული ეთიკის სფეროებს.

თითოეული სწავლის შედეგისთვის მოცემულია კონკრეტული შეფასების ინდიკატორები, რომლებიც განმარტავენ, თუ რისი დემონსტრირება უნდა შეძლოს სტუდენტმა აღნიშნული შედეგის მისაღწევად. ამას მოსდევს შეფასების რუბრიკა, რომელიც განსაზღვრავს მიღწევის სამ დონეს: "არ აკმაყოფილებს", "მეტწილად აკმაყოფილებს" და "აკმაყოფილებს". აღნიშნული რუბრიკა საშუალებას აძლევს შემფასებლებს ობიექტურად შეაფასონ სტუდენტების მოსწრება.

დოკუმენტი ასევე მოიცავს ცხრილებს, რომლებიც განსაზღვრავენ თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად გამოყენებულ კონკრეტულ სასწავლო კურსებს და შეფასების მეთოდებს (მაგ. ტესტები, შემთხვევების ანალიზი, პრაქტიკული მაგალითები / დავალებები, თეორიული კითხვები). აღნიშნული ცხრილები აჩვენებს, თუ როგორ არის ინტეგრირებული სწავლის შედეგები პროგრამის სხვადასხვა კურსში.

დოკუმენტის ბოლოს წარმოდგენილი ცხრილი, დეტალურად აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობას და მითითებულია, რომ შეფასებები განხორციელდება ოთხი აკადემიური წლის განმავლობაში (2023-2024, 2024-2025, 2025 - 2026 და 2026 - 2027). აღნიშნული განრიგი მიუთითებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამა გადის რეგულარულ განხილვას და შეფასებას.

მთლიანობაში, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დეტალურ და სტრუქტურირებულ მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფას და სტუდენტების მიღწევების ობიექტურ შეფასებას. გარდა ამისა, აღნიშნული ასახავს პროგრამის კომპლექსურობას და მიზანს: მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ფინანსური აღრიცხვის და აუდიტის სფეროებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- სამიზნე ნიშნულები
- სასწავლო გეგმის რუკა
- გასაუბრების შედეგები.

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №14 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეცვლის და გაუქმების პროცედურები.

"ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც გააჩნია ყოვლისმომცველი სასწავლო გეგმა, მიცავს

120 კრედიტს. პროგრამის სტრუქტურა შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან: ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები, თავისუფალი კომპონენტი და კვლევითი კომპონენტი.

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები შედგება 74 კრედიტისგან, რომელიც შემდგომ იყოფა სავალდებულო (62 კრედიტი) და არჩევით (12 კრედიტი) კურსებად. არჩევით კურსებში პროფესიული

პრაქტიკა შეადგენს 8 კრედიტს.

თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ემსახურება ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, მოიცავს 21 კრედიტს. 14 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო კურსებისთვის და 7 კრედიტი არჩევითი კურსებისთვის, რომელთა არჩევა შესაძლებელია უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამიდან. პროგრამის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც მოიცავს 25 კრედიტს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ითვალისწინებს პროფესიულ პრაქტიკას, არსებობს გამონაკლისი იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი სამუშაო გამოცდილება; აღნიშნულ შემთხვევებში სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ პრაქტიკა, როგორც არჩევითი კომპონენტი.

პროგრამის სტრუქტურა მოქნილია და სტუდენტებს საშუალებას აძლევს თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსები ჩაანაცვლონ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსებით.

პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და სასწავლო გეგმა შემუშავებულია სტარტეგიულად დასახული მიზნების და შედეგების მისაღწევად. პროგრამა განსაზღვრავს კომპონენტებზე დაშვების წინაპირობებს, მათ თანმიმდევრობას, კრედიტების სემესტრულ განაწილებას და სტუდენტთა მოსალოდნელ სემესტრულ დატვირთვას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და ანალიზის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

"აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) პრინციპების შესაბამისად. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და ეფუძნება აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობა არის 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი), საერთო მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს (3000 საათი).

სამაგისტრო პროგრამას გააჩნია სრულყოფილი სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ჯამში 120 კრედიტს. სტრუქტურა შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან: ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები, თავისუფალი კომპონენტი და კვლევითი კომპონენტი.

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები წარმოადგენს პროგრამის მთავარ ორიენტაციას და შეადგენს 81 კრედიტს. აღნიშნული კომპონენტი იყოფა სავალდებულო და არჩევით ნაწილებად. სავალდებულო კურსები შეადგენს 73 კრედიტს, ხოლო არჩევითი კურსები, პროფესიული პრაქტიკის ჩათვლით, მოიცავს 8 კრედიტს.

თავისუფალი კომპონენტი, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, შედგება 14 კრედიტისგან. აღნიშნული მოიცავს 9 კრედიტს სავალდებულო კურსებისთვის

და 5 კრედიტს არჩევითი კურსებისთვის. სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ არჩევითი კურსები უნივერსიტეტის ნებისმიერი შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამიდან, იმ შემთხვევაში თუ ისინი აკმაყოფილებენ აღნიშნული კურსების წინაპირობებს.

პროგრამის მესამე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს კვლევითი ნაწილი, სამაგისტრო ნაშრომის სახით, რომელიც მოიცავს 25 კრედიტს. აღნიშნული კომპონენტი ხელს უწყობს სტუდენტებში კვლევითი უნარების განვითარებას და პრაქტიკულ გამოყენებას.

საერთო ჯამში, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, რეკომენდებულია სტრუქტურის შევსება ბიზნესის ადმინისტრირების მარკეტინგის საგნით, კერძოდ "სტრატეგიული მარკეტინგით", რომელიც ამჟამად გათვალისწინებულია არჩევით ბლოკში.

დასკვნის სახით, პროგრამის შინაარსის და სტრუქტურის ანალიზი მიუთითებს, რომ ისინი შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მიუხედავად ამისა, მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, "სტრატეგიული მარკეტინგის" კურსის სავალდებულო საგნად დამატება უკეთ ასახავს მის მნიშვნელობას კვალიფიკაციის ჩარჩოში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- სასწავლო გეგმის რუკა
- გასაუბრება
- ვებ - გვერდი https://www.unik.edu.ge/

შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების ბლოკს დაემატოს სტრატეგიული მარკეტინგის სასწავლო კურსი.

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთა**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთა**

სტრუქტურა და შინაარსი		ნ	ნ	ნ
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კავშირი სასწავლო კურსებს და სწავლის შედეგებს შორის წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკით. აღნიშნული ინსტრუმენტი თვალსაჩინოს ხდის, თუ როგორ არის დაკავშირებული თითოეული სასწავლო კურსი პროგრამის საერთო სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების დეტალური ანალიზი ავლენს მათ რელევანტურობას პროგრამის ზოგად სწავლის შედეგებთან მიმართებით. სილაბუსებში წარმოდგენილი კურსების შინაარსი შეესაბამება მითითებულ სწავლის შედეგებს და ხელს უწყობს მათ მიღწევას. თითეული კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებისთვის ძირითადად გამოყოფილია 3, 4, 5 და 6 კრედიტი, რაც განისაზღვრება კურსის შინაარსით და სტუდენტის მოსალოდნელი დატვირთვით.

საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს თითოეული საგნის სპეციფიკას. სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების მეთოდებს და დეტალურ კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ობიექტურობას და ხელს უწყობს სწავლის შედეგების სამართლიან შეფასებას.

პროგრამა მოიცავს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტს, რომელსაც მინიჭებული აქვს 8 კრედიტი და ხელს უწყობს რეალურ სამუშაო გარემოში სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას. სამაგისტრო ნაშრომისთვის განსაზღვრულია 25 კრედიტი და ასახავს სტუდენტის უნარს, განახორციელოს დამოუკიდებელი კვლევა და წარმოადგინოს შედეგები აკადემიური სტანდარტების შესაბამისად.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ სამაგისტრო ნაშრომების შესწავლამ გამოავლინა მნიშვნელოვანი ხარვეზები ნაშრომის მომზადების პროცესში. ბევრ შემთხვევაში აღინიშნება კვლევითი კომპონენტების არასაკმარისი წარმოდგენა, რაც მიუთითებს, რომ სტუდენტები ხშირად ვერ ახორციელებენ შესაბამისი დონის ემპირიულ ან თეორიულ კვლევას. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში ნაშრომებში სათანადოდ არ არის წარმოდგენილი ლიტერატურის ანალიზი და შეინიშნება ციტირების სტანდარტების სისტემატიური

დარღვევები. კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებული მეთოდოლოგია გარკვეულწილად ბუნდოვნად არის წარმოდგენილი, ხოლო კვლევის შედეგები ხშირ შემტხვევაში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ან არ ეფუძნება ადეკვატურ კვლევას.

აღნიშნული ნაკლოვანებები ხაზს უსვამს პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების და სამაგისტრო ნაშრომების მომზადების მოთხოვნების დახვეწის საჭიროებას.

ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები ემსახურება საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო სივრცის და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, პროფესიული ცოდნის და უნარების მქონე სპეციალისტების მომზადებას, მნიშვნელოვანია ყველა სასწავლო კურსში ინგლისურენოვანი მასალების გათვალისწინება. პერიოდულად უნდა გადაიხედოს სტუდენტებისთვის შეთავაზებული ლიტერატურა (რომლებიც გათვალისწინებულია სასწავლო კურსებში).

პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ზოგიერთი საგნის შინაარსი ეჭვს იწვევს. მაგალითად, ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების კურსი იწყება იჯარის, ფინანსური ინვესტიციების აღრიცხვით და ა.შ. და მხოლოდ მე-10 ლექციაზე განიხილება "ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის საფუძვლები". გარდა ამისა, აღნიშნული კურსი მოიცავს "ფულის დროით ღირებულებას", რომელიც ჩვეულებრივ ისწავლება საბაკალავრო პროგრამის დასაწყისში. ინვესტიციების მართვის კურსი ჩვეულებრივ უკავშირდება პორტფელის მართვას (განხილულია ორ ლექციაზე) და არა SWOT ანალიზს. რეკომენდებულია ნებისმიერი ინვესტიციების მართვის წიგნის (თუნდაც სტუდენტებისთვის შეთავაზებული ლიტერატურიდან, მაგრამ უფრო უახლესი გამოცემების გამოყენებით) გამოყენება და სასწავლო მასალის რეკონსტრუქცია.

ზოგიერთი სასწავლო კურსი სავალდებულო ლიტერატურის სახით მოიცავს მხოლოდ საქართველოში გამოქვეყნებულ სტატიებს; ზოგიერთ კურსში არ არის წარმოდგენილი ბოლო ხუთი წლის გამოქვეყნებები. მაგალითად, ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, ლიდერობა და ეფექტური კომუნიკაცია და საჯარო ფინანსები. სასწავლო კურსში "ფინანსური რისკების მართვა" შეთავაზებულია ბოლოდროინდელი გამოქვეყნებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მომზადებული გლობალური ფინანსური სტაბილურობის ანგარიშებზე ონლაინ წვდომის სახით. სამაგისტრო ნაშრომი - არ არის შეთავაზებული ლიტერატურა.

პროგრამა 2 ("აღრიცხვის და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესწავლა წარმოშობს გარკვეულ კითხვებს. მაგალითად, სასწავლო კურსში "სტრატეგიული მენეჯმენტი" აღნიშნულია, რომ სტუდენტის მიერ შეძენილი ერთ - ერთი საგნობრივი უნარი არის SWOT ანალიზის პრინციპების გამოყენება. SWOT ანალიზი როგორც წესი ისწავლება საბაკალავრო დონეზე. სასწავლო კურსში "საჯარო სექტორის აუდიტი" შეფასების კომპონენტები საეჭვოა, ვინაიდან შესაძლოა არ შეესაბამებოდეს სამაგისტრო დონეს. ერთი მოიცავს ქვიზს 5 ქულით, სულ 5 ქვიზი, თითოეული 1 ქულა. *თითოეული ქვიზი შედგება 5 დახურული კითხვისგან. თითოეულ კითხვას გააჩნია სამი ალტერნატიული პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.*

ზოგიერთი სასწავლო კურსი სავალდებულო ლიტერატურის სახით მოიცავს მხოლოდ საქართველოში გამოქვეყნებულ სტატიებს; ზოგიერთ კურსში არ არის წარმოდგენილი ბოლო ხუთი წლის გამოქვეყნებები. მაგალითად ფინანსური აღრიცხვა, ბუღალტრული ანგარიშგება და ანალიზი და პრაქტიკული აუდიტი. სამაგისტრო ნაშრომი - არ არის შეთავაზებული ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა
- კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, განახლდეს სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები. ყველა სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნებს – თეორიული ნაწილი, მეთოდოლოგიური ნაწილი და პრაქტიკული ნაწილი (რომელიც უკავშირდება ავტორის მიერ განხორციელებულ კვლევას).
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით გადაიხედოს სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალები. ანუ, ყველა საგანში გადაიხედოს სტუდენტებისთვის შეთავაზებული ლიტერატურა. რეკომენდებულია, ყველა კურსში გათვალისწინებული იყოს მინიმუმ ერთი საერთაშორისო რესურსი, სასურველია გამოქვეყნებული იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

- სასურველია, "ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების" და "ინვესტიციების მართვის" სასწავლო კურსების შინაარსის გადახედვა.

პროგრამა 2 ("აღრიცხვის და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

- სასურველია, გადაიხედოს "სტრატეგიული მენეჯმენტის" სასწავლო კურსის უნარების კომპონენტი და "საჯარო სექტორის აუდიტის" სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები.

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	■	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	■	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ - ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში, თანდართულ დოკუმენტაციასთან და ვიზიტის დროს განხორციელებულ გასაუბრებეთან ერთად, მიუთითებს, რომ კლასტერში დაჯგუფებული "ფინანსების" და "აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო პროგრამების მიღების მოთხოვნები შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთი აპლიკანტების მიღებას, რომლებსაც გააჩნიათ სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ცოდნა და უნარები.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პირობების შესახებ განთავსებულია ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის: https://www.unik.edu.ge/

უსდ - ს ჩამოყალიბებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკურ მოთხოვნებს და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელ დაწესებულების რესურსებს. პროგრამაზე სტუდენტების მიღება ხორციელდება დადგენილი სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის

მეთოდოლოგიის შესაბამისად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა);

მიღების კრიტერიუმები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება პროგრამის შინაარსს; მოთხოვნები და წინაპირობები საჯაროა და ხელმისაწვდომია აპლიკანტებისთვის უსდ - ს ვებგვერდის მეშვეობით. სპეციალობის მისაღები გამოცდის კითხვების ნიმუშები ხელმისაწვდომია ვებ - გვერდზე.

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ან შიდა და/ან გარე მობილობის საფუძველზე, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩაირიცხება პროგრამაზე.

"ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად დადგენილია დამატებითი პირობები. უნივერსიტეტის შიდა გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში და უნივერსიტეტის შიდა გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში, სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დადასტურება ინგლისური ენის გამოცდის შედეგად ან ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

მიღების კრიტერიუმები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება პროგრამის შინაარსს; მოთხოვნები და წინაპირობები საჯაროა და ხელმისაწვდომია აპლიკანტებისთვის უსდ - ს ვებ - გვერდის მეშვეობით; სპეციალობის მისაღები გამოცდის კითხვების ნიმუშები წარმოდგენილია ვებ - გვერდზე.

"აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ან შიდა და / ან გარე მობილობის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩაირიცხება პროგრამაზე.

"აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად დადგენილია დამატებითი პირობები. უნივერსიტეტის შიდა გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში და უნივერსიტეტის შიდა გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში, სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დადასტურება ინგლისური ენის გამოცდის შედეგად ან ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- "ფინანსების" და "აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამების დანართები; ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი

კომპეტენციების განსაზღვრის წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 22 ოქტომბრის №70 ბრძანებით);

- ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.unik.edu.ge/
- გასაუბრების შედეგები
- სპეციალობის გამოცდის ტესტის ნიმუში

შეფასება

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღნიშნულ კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო პროგრამები ორიენტირებულია სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. პრაქტიკული უნარების გამომუშავება უზრუნველყოფილია როგორც სასწავლო კურსის ფარგლებში კონკრეტული დავალებების შესრულებით, ასევე მთლიანად პროგრამის სხვადასხვა კომპონენტების მეშვეობით.

კვლევითი უნარები ვითარდება მიზნობრივი კურსების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს შესაბამის აქტივობებს და შეფასების მეთოდებს. ორივე პროგრამის ფარგლებში აღნიშნული განვითარების მთავარ ელემენტს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც არის მნიშვნელოვანი კვლევითი კომპონენტი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელიც საჭიროებს ყურადღებას. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების თვალსაზრისით ყველა სტუდენტთან მიმართებით გამოყენებული იყოს სტანდარტიზებული სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც მოიცავენ ისეთ ასპექტებს, როგორიც არის სტრუქტურა, მეთოდოლოგია, აკადემიური წერის სტილი და ა.შ. უსდ - ს გააჩნია სამაგისტრო ნაშრომის სახელმძღვანელო და სილაბუსი, თუმცა სტუდენტები სათანადოდ არ იყენებენ აღნიშნულ სახელმძღვანელოს და სილაბუსს.

უსდ - ს გაფორმებული აქვს მოქმედი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შესაბამისი სფეროს ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სადაც სტუდენტები პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში ივითარებენ პრაქტიკულ უნარებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა);

"ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებიც ემსახურებიან პრაქტიკული უნარების გაძლიერებას შემდეგი სასწავლო კურსების მეშვეობით: პროექტის მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, მენეჯერული აღრიცხვა გადაწყვეტილებების მისაღებად, ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსური რისკების მართვა, ინვესტიციების მართვა, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი MS Excel - ის გამოყენებით, საგადასახადო აღრიცხვა, ადმინისტრირება, აუდიტი და სხვა.

პროგრამის სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი, სახელწოდებით "პროფესიული პრაქტიკა" მოიცავს 8 კრედიტს და აუცილებელია პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის. აღნიშნული კომპონენტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს გააანალიზონ და განმარტონ ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშებიდან მიღებულ ინფორმაცია, შეაფასონ ფინანსური რისკები და ღირებულების ზრდის შესაძლებლობები, შეიმუშაონ ღირებულების ზრდის და ფინანსური სტაბილურობის სტრატეგიები და თემატური დავალებების მეშვეობით გაიუმჯობესონ გუნდური მუშაობის და კომუნიკაციის უნარები.

პროფესიულ პრაქტიკაში მონაწილეობა სავალდებულოა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტს შეუძლია დაადასტუროს ბოლო სამი წლის განმავლობაში მინიმუმ ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება მენეჯერულ პოზიციაზე როგორიც არის ფინანსური ანალიტიკოსი, ფინანსური რისკების მენეჯერი, კორპორატიული ბანკირი, ფინანსური მენეჯერი, ფინანსური კონსულტანტი ან მსგავსი ფინანსური პოზიცია. აღნიშნული მოთხოვნა უზრუნველყოფს, სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების განვითარების მიღწევას.

კვლევითი უნარების გაძლიერების მიზნით, "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა მოიცავს რამდენიმე კურსს: სამეცნიერო წერა (4 ECTS), ბიზნესის კვლევის მეთოდები (5 ECTS) და რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები (5 ECTS). აღნიშნული კურსები ორიენტირებულია ინფორმაციის მოპოვების, მონაცემთა დამუშავების, ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარების განვითარებაზე. კვლევითი უნარების განვითარება მხარდაჭერილია სპეციფიკური კურსების აქტივობებით და შეფასების მეთოდებით, როგორიც არის წყაროებზე მუშაობა, წერითი დავალებების შესრულება, ანალიზის მომზადება და ანგარიშების წარდგენა. პროგრამაში სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა, რომელიც შეადგენს 25 კრედიტს. აღნიშნული ნაშრომი არა მხოლოდ აძლიერებს სტუდენტების კვლევით შესაძლებლობებს, არამედ საშუალებას აძლევს მათ გამოიყენონ სასწავლო კურსებიდან მიღებული ცოდნა და უნარები. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს კომპლექსურ კვლევით პროექტს, რომელიც დემოსნტრირებს სტუდენტის უნარს განახორციელოს დამოუკიდებელი კვლევა, მოამზადოს და გააფორმოს სამეცნიერო ნაშრომი, საჯაროდ წარადგინოს და დაიცვას საკუთარი კვლევის შედეგები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

"აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებიც ემსახურება სტუდენტების პრაქტიკული უნარების გაძლიერებას შემდეგი სასწავლო კურსების მეშვეობით:

მონაცემთა დამუშავება და ანალიზი MS Excel - ის გამოყენებით, ფინანსური მენეჯმენტი, საგადასახადო აღრიცხვა, ადმინისტრირება და აუდიტი, ფინანსური აღრიცხვა, მენეჯერული აღრიცხვა გადაწყვეტილებების მისაღებად, სააღრიცხვო ანგარიშგება და ანალიზი, აუდიტის პრაქტიკა, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, შიდა აუდიტი, საჯარო სექტორის აუდიტი, ინვესტიციების მართვა, პროექტის მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, ელექტრონული ფინანსური აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა.

პროგრამის სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი, სახელწოდებით "პროფესიული პრაქტიკა" მოიცავს 8 კრედიტს და აუცილებელია პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის. აღნიშნული კომპონენტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს დაამუშაონ ფინანსური დოკუმენტები, აწარმოონ ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვა შესაბამისი სტანდარტების თანახმად, მოამზადონ სააღრიცხვო ანგარიშგებები, წაიკითხონ და გააანალიზონ სააღრიცხვო ანგარიშგებები და გააკეთონ ადეკვატური დასკვნები და შეფასებები.

კვლევითი უნარების გაძლიერების მიზნით, "აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო პროგრამა მოიცავს რამდენიმე კურსს: სამეცნიერო წერა (4 ECTS), ბიზნესის კვლევის მეთოდები (5 ECTS) და რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები (5 ECTS). აღნიშნული კურსები ორიენტირებულია ინფორმაციის მოპოვების, მონაცემთა დამუშავების, ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარების განვითარებაზე. კვლევითი უნარების განვითარება მხარდაჭერილია სპეციფიკური კურსების აქტივობებით და შეფასების მეთოდებით, როგორიც არის წყაროებზე მუშაობა, წერითი დავალებების შესრულება, ანალიზის მომზადება და ანგარიშების წარდგენა. პროგრამაში სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა, რომელიც შეადგენს 25 კრედიტს. აღნიშნული ნაშრომი არა მხოლოდ აძლიერებს სტუდენტების კვლევით შესაძლებლობებს, არამედ საშუალებას აძლევს მათ გამოიყენონ სასწავლო კურსებიდან მიღებული ცოდნა და უნარები. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს კომპლექსურ კვლევით პროექტს, რომელიც დემონსტრირებს სტუდენტის უნარს განახორციელოს დამოუკიდებელი კვლევა, მოამზადოს და გააფორმოს სამეცნიერო ნაშრომი, საჯაროდ წარადგინოს და დაიცვას საკუთარი კვლევის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- "ფინანსების" და "ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დანართები
- საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები
- გასაუბრების შედეგები
- ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტუდენტების მომზადება კვლევის მეთოდოლოგიაში, აკადემიურ წერაში და მონაცემთა ანალიზში.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე წვდომა, რაც მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის, და მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სწავლებაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას (R, Stata და ა.შ.).

შეფასება

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში გამოიყენება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდები, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას საგანმანათლებლო საფეხურთან, საგნის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სტუდენტთა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი და საინტერესო მეთოდები. აღნიშნული მეთოდები მოიცავს: ზეპირ სწავლებას, წერილობით დავალებებს, ჯგუფურ მუშაობას, დისკუსიებს, თანამშრომლობით სწავლებას, პროექტის პრეზენტაციებს, დემონსტრირებებს, შემთხვევის შესწავლას და სხვა.

აღნიშნული მიდგომა მორგებულია ყველა საგნის შინაარსს და ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სილაბუსში გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული საგნის სილაბუსში დეტალურად არის წარმოდგენილი გამოყენებული სწავლება - სწავლის მეთოდები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება საგნის მიზნებს. მეთოდები ხასიათდება მრავალფეროვნებითა და მოქნილობით, რაც პედაგოგებს საშუალებას აძლევს საკუთარი მიდგომები მოარგონ კონკრეტული საგნის ან ინდივიდუალური სტუდენტების საჭიროებებს.

დამატებით, პროგრამები იმგვარად არის შემუშავებული, რომ ხელი შეუწყოს ინტერაქტიულ სწავლების მეთოდებს, რაც, თავის მხრივ ხელს შეუწყობს აქტიურ ურთიერთობას სტუდენტებს შორის, აგრეთვე სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის. აღნიშნული ინტერაქცია არსებითია კრიტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების განვითარებისთვის, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ინტერაქტიურ მეთოდებზე კონცენტრირება, მაგალითად ჯგუფური დისკუსიები და კეისის ანალიზი, უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები არ იქნებიან ინფორმაციის პასიური მიმღებნი, არამედ აქტიურად მონაწილეობენ საკუთარი ცოდნის შექმნაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები "ფინანსები" და "აღრიცხვა და აუდიტი" და პროგრამის დანართები;
- საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ქუთაისის უნივერსიტეტში დამკვიდრებული პროცედურების შესაბამისად, არის გამჭვირვალე და შეესაბამება კანონმდებლობას. შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესებს".

კლასტერში დაჯგუფებული ფინანსებისა და აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამებში სტუდენტის ცოდნის შეფასება ეფუძნება კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის მიერ პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების ათვისების ხარისხს. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტისა და საგნის სილაბუსის თანახმად, სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, კერძოდ, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მეშვეობით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასების ქულას 100- ქულიან სისტემაში. დასკვნითი გამოცდის კონკრეტული წილი განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსისთვის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს საერთო შეფასების 40%-სა.

შეფასების სისტემა უშვებს:

a) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

b) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41- 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამების სასწავლო კომპონენტში, FX- ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ხელახლა გავიდეს გამოცდაზე. სტუდენტს ეძლევა დამატებითი გამოცდის ჩაბარების უფლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან საბოლოო შეფასებაში დააგროვა 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

სასწავლო კურსის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, საგნის განმახორციელებელი პერსონალი განსაზღვრავს შეფასების მეთოდ(ებ)ის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. იმ შემთხვევაში, თუ შეფასების მეთოდში/ მეთოდებში არის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, კრედიტი მიენიჭება შეფასების თითოეულ მეთოდში მინიმალური კომპეტენციის ბარიერის გადალახვით, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) მინიმალური კომპეტენციის ბარიერის გადალახვით და მინიმუმ 51 ქულის მოპოვებით.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების კომპონენტები და მეთოდები გამჭვირვალეა; ისინი ქვეყნდება ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალი იცნობს თანამედროვე შეფასების მეთოდებს, და უნივერსიტეტი მხარს უჭერს მათ აღნიშნული დავალების შესრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში.

სტუდენტი სილაბუსს ეცნობა სასწავლო კურსის პირველივე შეხვედრაზე. საგნის სილაბუსები ხელმისაწვდომია Moodle ელექტრონულ პლატფორმაზე, რომლის მეშვეობითაც ქუთაისის უნივერსიტეტი ავრცელებს სასწავლო მასალებს სტუდენტებსა და საგნის განმახორციელებელ პერსონალს შორის:

https://moodle.unik.ge/moodle/, ასევე ქუთაისის უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმაზე, სტუდენტის საინფორმაციო სისტემაზე: https://eunsis.unik.edu.ge/

სტუდენტთა შეფასების პროცედურები გამჭვირვალე და სამართლიანია ყველა სტუდენტის მიმართ. ამ მიზანს ემსახურება გამოცდის ნაშრომების შეფასების პროცედურა, რომლის თანახმად სტუდენტის სახელი და გვარი იშიფრება, შესაბამისად, საგნის განმახორციელებელმა პერსონალმა არ იცის, თუ ვის ნაშრომს აფასებს.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ შესრულებულ კვლევით კომპონენტს. იგი სრულყოფილად წარმოაჩენს სტუდენტის კვლევით უნარ-ჩვევებს, მის შესაძლებლობას დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა, ჩამოაყალიბოს, სტრუქტურულად გამართოს, საჯაროდ წარადგინოს და დაიცვას იგი. სამაგისტრო ნაშრომს მაგისტრანტი ინდივიდუალურად ასრულებს, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ გაწეული ხელმძღვანელობის ქვეშ. მაგისტრანტები სამაგისტრო ნაშრომის თემას ირჩევენ საკუთარი კვლევითი ინტერესის საფუძველზე.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომებს, რომლებშიც რამდენიმე ხარვეზი აღმოჩნდა: ზოგიერთ ნაშრომში მწირი იყო ბიბლიოგრაფია და გამოყენებული იყო არააკადემიური წყაროები, ზოგი ნაშრომის გაფორმება და გამოყენებული ლიტერატურის სია არ შეესაბამებოდა აკადემიური სტილის წესებს. შესაბამისად, რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს მისცენ უფრო მკაფიო მითითებები წყაროების ციტირებისა და აკადემიური სტილის დაცვის შესახებ.

ქუთაისის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მაგისტრატურის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც აღწერს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას, სამაგისტრო ნაშრომის/ პროექტის ავტორის შერჩევისა და დამტკიცების წესებს; დაცვის კომისიის მიერ სამაგისტრო ნაშრომის/ პროექტის შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმებს; სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, წარდგენისა და დაცვის პროცედურებს, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმებს და ა.შ. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი აცნობს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცედურებს.

გამოცდის გასაჩივრების პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტში არსებული გამოცდების ჩატარებისა და გასაჩივრების წესებით. გასაუბრებისას დაფიქსირდა, რომ სტუდენტები წინასწარ იცნობენ გასაჩივრების პროცედურებს, თუმცა ამ მექანიზმით არ უსარგებლიათ. სასწავლო კურსის განმახორციელებელსა და სტუდენტს შორის წინასწარი განხილვის შედეგად უთანხმოების შემთხვევაში, დარგობრივი კომისია განიხილავს საჩივარს და შეიმუშავებს შესაბამის დასკვნას.

გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს ლექტორებისგან, კომუნიკაცია ლექტორებთან მათთვის საკმაოდ მარტივია როგორც სატელეფონო, ასევე პირისპირ კომუნიკაციით. სტუდენტებმა არ აღნიშნეს, რომ იღებენ უკუკავშირს ლექტორებისაგან მათი აკადემიური მოსწრების შესახებ. სასურველია ლექტორებმა სტუდენტებს მიაწოდონ უკუკავშირი სწავლის შედეგების, აგრეთვე საკუთარი ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო პროგრამა "ფინანსები" და "აღრიცხვა და აუდიტი";
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი;
- ქუთაისის უნივერსიტეტის საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი;
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს მისცენ უფრო ზუსტი მითითებები ლიტერატურული წყაროების ციტირების და სამაგისტრო ნაშრომში აკადემიური სტილის წესებთან შესაბამისობის შესახებ.
- უმჯობესია, ლექტორებმა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით სტუდენტებს მიაწოდონ უკეთესი უკუკავშირი და გააუმჯობესონ მათი ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი სფეროების შედეგები.

შეფასება

კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სამაგისტრო პროგრამა ფინანსები, II საფეხური)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა აღრიცხვა და აუდიტი, II საფეხური)	☐	☒	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შესაბამისი დოკუმენტაციის ანალიზის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ კონსულტაციებს საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების და სწავლებისა თუ დასაქმების საკითხებში.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის კუთხით. უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტებს მიეწოდებათ სრული ინფორმაცია სასწავლო მომსახურების შესახებ. ამისათვის უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონულ პლატფორმას - სტუდენტის საინფორმაციო სისტემას (https://eunsis.unik.edu.ge/), რომლის მეშვეობით ხორციელდება სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია. აღნიშნულ პლატფორმაზე ასევე აისახება შუალედური და დასკვნითი შეფასებები, შესაბამისად, სტუდენტებს თავად ადევნებენ თვალს თავიანთ შეფასებებსა და აკადემიურ მოსწრებას.

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის ფარგლებში, აკადემიური და მოწვეული პერსონალი სტუდენტებისთვის განსაზღვრავს დამატებით საკონსულტაციო შეხვედრებს, კვირაში ორი საათის განმავლობაში. საკონსულტაციო შეხვედრები იგეგმება სემესტრის დასაწყისში. შეხვედრების გრაფიკი თავსდება Moodle ელექტრონულ პლატფორმაზე.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სამსახური სტუდენტებს სთავაზობს კარიერული განვითარებისა და დასაქმების კონსულტაციებს. ცენტრი გეგმავს და ატარებს სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებს სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. თუმცა, გასაუბრებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დაკავებულნი არიან და არ სარგებლობენ აღნიშნული სერვისით.

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო აქტივობების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სწავლების, სწავლისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, ქუთაისის უნივერსიტეტს 22 ქვეყნის 64 უნივერსიტეთთან აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი. თანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ხშირად იმართება ერთობლივი საჯარო ვებინარები და სალექციო

კურსები საერთაშორისო კლასგარეშე აქტივობის ფარგლებში. სტუდენტები იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტში ჩატარებული სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების, პროექტებისა და კონფერენციების შესახებ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით (საინფორმაციო დაფაზე გამოკვრა, ელ- ფოსტა, ვებ- გვერდი, სოციალური ქსელი). თუმცა, გასაუბრების პროცესში სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ არ მიუღიათ მონაწილეობა არც გაცვლით და არც ადგილობრივ პროექტებში. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა აქტიურად ჩართოს სტუდენტები სხვადასხვა ღონისძიებებში და გაზარდოს მათი ინფორმირებულობა ამ მხრივ.

ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულ გასაუბრებებზე სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დადებითად შეაფასეს პროგრამა. ისინი კმაყოფილი არიან სწავლების ხარისხით, პროფესორებისა და მასწავლებლების დონით, სწავლების მეთოდებითა და სტუდენტური სერვისებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულება;
- ქუთაისის უნივერსიტეტის საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი;
- ქუთაისის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა: https://eunsis.unik.edu.ge/
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი;
  - გამოკითხვის შედეგები.
  - ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა გაზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ასევე გაცვლით პროგრამებში.

შეფასება

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა
  იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომი არის სავალდებულო კომპონენტი ორივე სამაგისტრო პროგარმაში („ფინანსებში“ და „აღრიცხვა და აუდიტში“). კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეირჩევა სტუდენტის მიერ არჩეული კვლევითი მიმართულების შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე. სამაგისტრო ნაშრომის თემას ირჩევს სტუდენტი ნაშრომის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია გააცნოს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებიც განისაზღვრება "ქუთაისის უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით". სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია ხელმძღვანელობა გაუწიოს მაგისტრანტის მუშაობას, კონსულტაცია გაუწიოს მუშაობის პროცესში, წყაროების შერჩევაში, კვლევის პრობლემის ჩამოყალიბებაში, კვლევის კითხვების ფორმირებაში, მისცეს ზოგადი მითითებები დარგის მიმდინარე გამოწვევებისა და შესაბამის მიმართულებაში კვლევის განხორციელების შესახებ. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და კვლევის თემის სპეციფიკას. სტუდენტის მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატის აღმოჩენის ელექტრონული პროგრამით „StrikePlagiarism.com".

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად მოიაზრება პროგრამის განხორციელებაში ჩართული 12 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ხოლო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად მოიაზრება პროგრამის განხორციელებაში ჩართული 6 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. „ქუთაისის უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის" თანახმად, ერთ აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალს ერთდროულად შეუძლია უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 5 სამაგისტრო ნაშრომს.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	სამაგისტრო პროგრამა ფინანსები - 12 სამაგისტრო პროგრამა აღრიცხვა და აუდიტი - 6

//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	სამაგისტრო პროგრამა ფინანსები - 3 სამაგისტრო პროგრამა აღრიცხვა და აუდიტი - 1
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	სამაგისტრო პროგრამა ფინანსები - 12/3 სამაგისტრო პროგრამა აღრიცხვა და აუდიტი - 6/1
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- ქუთაისის უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი;
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი;
- გამოკითხვის შედეგები.
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაინერგოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესი, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა კვლევის განხორციელების სტანდარტებთან.

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სამაგისტრო პროგრამა ფინანსები, II საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა აღრიცხვა და აუდიტი, II საფეხური)	☒	☐	☐	☐

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტრში დაჯგუფებულ პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი გადამწყვეტ როლს ასრულებს სასწავლო პროგრამის შემუშავებასა და სრულყოფაში. მათი მონაწილეობა მოიცავს სხვადასხვა ასპექტების განხილვას, კერძოდ: კრედიტების განაწილებას, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების განსაზღვრას, წინაპირობების დადგენას, სწავლის შედეგებთან შესაბამისი თემატიკის შემუშავებას, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის შერჩევას. მოწვეული პერსონალის ან ლექტორების კვალიფიკაცია დასტურდება მათი შესაბამისი ცოდნით, გამოცდილებითა და კომპეტენციებით, რომლებიც ეხმარება სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. არსებობს აკადემიური/ სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დეტალური დატვირთვის სქემა.

პროგრამის სტუდენტები სათანადო მხარდაჭერას იღებენ საკმარისი რაოდენობისა და აუცილებელი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისგან. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ როლსა და პასუხისმგებლობებს. პერსონალის ჩართულობა აისახება მათ მიერ პროგრამის შინაარსის შეფასებაში. განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგებისა და კურიკულუმის შესაფასებლად, ჩატარდა მათ განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოკითხვა. შედეგებმა გამოავლინა განახლებული პროგრამების, მიზნების, სწავლის შედეგებისა და კურიკულუმის დადებითი შეფასება.

ფინანსების, აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამებში ჩართულია შესაბამისი აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე კვალიფიციური პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიღწევები დასტურდება დიპლომებით, სერთიფიკატებით, პუბლიკაციებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის პროცესი ხორციელდება „ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის შერჩევის წესების" შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 ივლისის №261 ბრძანებით. თითოეულ საუნივერსიტეტო პოზიციას თან ახლავს სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რითაც ხელმძღვანელობენ დაქირავების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს. „ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის შერჩევის წესები"

განსაზღვრავს დაქირავების პროცედურებს, ხოლო „ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვაკლიფიკაციო მოთხოვნების" დოკუმენტი (დამტკიცებული უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 ივლისის №263 ბრძანებით) დეტალურად აღწერს თითოეული პოზიციისათვის საჭირო კონრეტულ კვალიფიკაციებს. იქიდან გამომდინარე, რომ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომებით, მათ შორის მონოგრაფიებით, სახელმძღვანელოებითა და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებით, სასურველია მათი წახალისება გამოაქვეყნონ მეტი ნაშრომი საერთაშორისო რეცენზირებად იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სამაგისტრო პროგამა ფინანსები)

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია 19 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის 13 აკადემიური და 6 მოწვეული თანამშრომელი. აკადემიური პერსონალი შედგება 5 პროფესორისგან (მათ შორის 4 აფილირებული), 5 ასოცირებული პროფესორისა (მათ შორის 4 აფილირებული) და 3 ასისტენტ-პროფესორისგან (რომლებიც ყველა აფილირებულია ქუთაისის უნივერსიტეტთან).

პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი კვალიფიციური აკადემიური პერსონალია, რომლებსაც შესაბამისი გამოცდილება გააჩნიათ და სამეცნიერო საქმიანობას ეწევიან. ყველა დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულია პროგრამის ადმინისტრირების პროცესში, და სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ისინი იყვნენ/არიან ძალიან დამხმარენი და ყოველთვის ხელმისაწვდომი.

პროგრამა 1 (სამაგისტრო პროგამა ფინანსები)9				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	13	13	13	11
- პროფესორი	5	5	5	4
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5	4
- ასისტენტ–პროფესორი	3	3	3	3
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	6	6	3	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა აღრიცხვა და აუდიტი)

აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია 19 აკადემიური და

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მოწვეული პერსონალი, მათ შორის 11 აკადემიური და 8 მოწვეული თანამშრომელი. აკადემიური პერსონალი მოიცავს 4 პროფესორს (მათ შორის 3 აფილირებულ პროფესორს), 6 ასოცირებულ პროფესორს (მათ შორის 4 აფილირებულს) და 1 ასისტენტ- პროფესორს (აფილირებულს).

პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და ეწევა სამეცნიერო საქმიანობას. ყველა დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულია პროგრამის ადმინისტრირების პროცესში, და სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ისინი იყვნენ/ არიან ძალიან დამხმარენი და ყოველთვის ხელმისაწვდომი.

პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა აღრიცხვა და აუდიტი)12				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[8]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[9]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	11	11	11	8
- პროფესორი	4	4	4	3
- ასოცირებული პროფესორი	6	6	6	4
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	8	8	3	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური პერსონალის CV-ები
- თვითშეფასების ანგარიში
- ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის No 16 ბრძანებით);
- ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის შერჩევის წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 ივლისის No261 ბრძანებით);
- ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 ივლისის No263 ბრძანებით);
- გასაუბრებების შედეგები

შეფასება

[8] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[9] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომებს ხელმძღვანელობს კვალიფიციური პერსონალი, რომელსაც გააჩნია კლასტერში დაჯგუფებული ფინანსების, აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამებისთვის შესაბამისი გამოცდილება. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისთვის საჭირო კვალიფიკაციები მოცემულია „ქუთაისის უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესებში", რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №24 ბრძანებით.

აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, სტუდენტებს შეიძლება ჰყავდეთ ერთი ან მეტი ხელმძღვანელი, რომლებსაც გააჩნიათ მათი ნაშრომის თემასთან დაკავშირებული კვლევითი გამოცდილება. კერძოდ, ხელმძღვანელი შეიძლება იყოს: ა) ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი; ბ) მოწვეული პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი შესაბამის სფეროში. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირებსაც, რომლებსაც გააჩნიათ მაგისტრის ხარისხი, შეუძლიათ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელთა პუბლიკაციების განხილვისას აღსანიშნავია, რომ ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, წარადგენენ კვლევით ნაშრომებს და აქვეყნებენ კონფერენციის მასალებს. იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის სამაგისტრო საფეხურის პროგრამები, უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს პერსონალის მოთხოვნებს მათი კვლევითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების, მათ შორის იმპაქტ-ფაქტორის გამოცემების მხრივ.

პროგრამა 1 (სამაგისტრო პროგრამა ფინანსები)[10]			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[11]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	12	12	10
- პროფესორი	4	4	3
- ასოცირებული პროფესორი	5	5	4
- ასისტენტ–პროფესორი	3	3	3
მოწვეული პერსონალი	-	-	_
სამეცნიერო პერსონალი			_

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სამაგისტრო პროგამა ფინანსები)

როგორც აღინიშნა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამის სფეროში პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი; უნივერსიტეტმა განსაზღვრა შესაბამისობის კრიტერიუმები:

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს გააჩნია სპეციალური პრაქტიკული გამოცდილება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ- ერთს:

- აქვს ფინანსურ დირექტორად, მენეჯერად და/ ან ანალიტიკოსად მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;
- აქვს საინვესტიციო ბანკირად და/ ან საკრედიტო ჯგუფის მენეჯერად მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;
- აქვს მენეჯერულ პოზიციაზე ბიზნეს- საკონსულტაციო სექტორში მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება;
- აქვს საშუალო და/ ან მაღალი დონის მენეჯმენტში ბიზნესისა და ფინანსების სფეროში (ამ შემთხვევაში, თანახელმძღვანელობის კანდიდატს ამტკიცებს პროგრამის კომიტეტი) მუშაობის მინიმუმ 7 წლიანი გამოცდილება.

[10] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[11] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა აღრიცხვა და აუდიტი)			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	6	6	5
- პროფესორი	3	3	2
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	1
მოწვეული პერსონალი	-	-	_
სამეცნიერო პერსონალი			_

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა აღრიცხვა და აუდიტი)

როგორც აღინიშნა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამის სფეროში პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი; უნივერსიტეტმა განსაზღვრა შესაბამისობის კრიტერიუმები:

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს გააჩნია სპეციალური პრაქტიკული გამოცდილება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ- ერთს:

- აქვს არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება აუდიტის პოზიციაზე;
- აქვს ფინანსურ მენეჯერად/მთავარ ბუღალტერად მუშაობის მინიმუმ 4 წლიანი გამოცდილება;
- აქვს ფინანსური მომსახურების სპეციალისტად და/ან ბუღალტერად მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;
- აქვს სხვა შესაბამის თანამდებობაზე ფინანსების, გადასახადების, აუდიტის სფეროში (ამ შემთხვევაში, თანახელმძღვანელობის კანდიდატს ამტკიცებს პროგრამის კომიტეტი) მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური პერსონალის CV-ები
- თვითშეფასების ანგარიში
- ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის No 16 ბრძანებით);
- ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის შერჩევის წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 ივლისის No261 ბრძანებით);
- ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 ივლისის No263

ბრძანებით);

- o გასაუბრებების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის გაძლიერება, იმისათვის, რომ მათ უფრო ინტენსიურად გამოაქვეყნონ საერთაშორისო აკადემიურ ჟურნალებში.

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/ კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტმა შეიმუშავა „ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესები" სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მიზნით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ ყველა თანამშრომელს ჰქონდეს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე წვდომა და თანაბარი პირობები იყოს შექმნილი პერსონალის ყველა კატეგორიისთვის. უნივერსიტეტი ატარებს, აანალიზებს და აქტიურად იყენებს პროგრამის პერსონალის შეფასებისა და პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგებს. თანამშრომელთა მრავალფეროვანი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, უნივერსიტეტი სთავაზობს პროფესიული განვითარების სხვადასხვა კომპონენტს, მათ შორის მონაწილეობას ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, როგორიცაა კონფერენციები, სიმპოზიუმები, სემინარები და სამუშაო შეხვედრები, აგრეთვე გრანტების შესაძლებლობებსა და სხვა სასწავლო პროგრამებს.

შეფასების პროცესი იყოფა პერსონალის კატეგორიების მიხედვით. აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად ფასდება სამეცნიერო და კვლევით საქმიანობის მიხედვით. შეფასების პროცესს

კოორდინაციას უწევს სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით. ყოველწლიურად დგინდება აკადემიური პერსონალის სავარაუდო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და თითოეულ აქტივობას ენიჭება შესაბამისი ქულა. შეფასების ჯამური მიდგომა განასხვავებს სხვადასხვა მოთხოვნებს აკადემიური პერსონალის თითოეული კატეგორიისთვის, დაწყებული პროფესორებით და დამთავრებული ასისტენტებით. იმ შემთხვევაში, თუ წლის ბოლოს თანამშრომელი აკმაყოფილებს წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებს, უნივერსიტეტი სთავაზობს შესაბამის ფინანსურ წახალისებას - აფილირებულ პროფესორს - 3000 ლარი, აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს - 2500 ლარი, აფილირებულ ასისტენტ- პროფესორს - 2000 ლარი, აფილირებულ ასისტენტს - 1500 ლარი.

პედაგოგიური საქმიანობა ასევე ცალკე ფასდება აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რაც გულისხმობს პერსონალის შეფასებას სტუდენტების, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, გამოცდების ცენტრის თანამშრომლებისა და საგანმანათლებლო პროცესის მენეჯერების მიერ. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების ყოველწლიური შეფასების შედეგები გამოიყენება სხვადასხვა წახალისებებში. წახალისებები განისაზღვრება თითოეული ფაკულტეტის სამი საუკეთესო აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის - I ადგილი - 1000 ლარი, II ადგილი - 700 ლარი, III ადგილი - 400 ლარი.

შესაბამისად, შეფასების შედეგები გათვალისწინებულია არა მხოლოდ ფინანსური წახალისებისთვის, არამედ პერსონალის განვითარების შესაძლებლობების დაგეგმვისა და წინასწარ განსაზღვრული სტანდარტების შეუსრულებლობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმებისთვის. აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასება მოიცავს სასწავლო პროცესის შეფასებას უკუკავშირის სქემებისა და კმაყოფილების გამოკითხვების გზით. შესაბამისად, უსდ უზრუნველყოფს აუცილებელ პირობებს, მათ შორის მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის.

ქუთაისის უნივერსიტეტი ატარებს ტრენინგებს, სემინარებს, სამუშაო შეხვედრებსა და სხვა კურსებს პერსონალის პროფესიული კომპეტენციების ამაღლებისა და მუდმივი განვითარების მიზნით. გარდა ამისა, სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის ცენტრი კონსულტაციას უწევს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს სხვადასხვა საკითხებზე: გრანტების მომზადება და წარდგენა, აგრეთვე პლაგიატის პროგრამების გამოყენება. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნებით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის სხვადასხვა აკადემიური და კვლევითი განვითარების შესაძლებლობებს, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. თუმცა, პუბლიკაციების უმეტესი ნაწილი წარდგენილია სხვადასხვა კონფერენციებზე, მათ შორის საერთაშორისოზე, მაგრამ არავის აქვს სამეცნიერო სტატია რეფერირებად ჟურნალში, რომელიც შეტანილია ისეთ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში, როგორიცაა იმპაქტ- ფაქტორიანი CA ან Scopus.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი (დოკუმენტი დამტკიცდა უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 7 ოქტომბრის No51

ბრძანებით);

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგების პასუხების ანგარიშები;
- აუდიტის მუშაობის შეფასების შემაჯამებელი ანგარიში, შეფასების შედეგებზე პასუხის ანგარიში;
- პროგრამის პერსონალის ზოგადი კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და პასუხების ანგარიშები;
- ქუთაისის უნივერსიტეტის კვლევების დაფინანსების წესები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის # 22 ბრძანებით);
- დებულება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შესახებ
- გასაუბრებების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ პრიორიტეტი მიანიჭოს და გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის კვლევითი შედეგების გამოქვეყნება სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში შემავალ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, როგორიც არის იმპაქტ-ფაქტორის მქონე CA ან Scopus -ი.

შეფასება

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამები უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და საშუალებებით. აუდიტორიები სრულად აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, მათ შორის ინტერნეტზე წვდომის მქონე კომპიუტერებით, ინტერაქტიული დაფებით, პროექტორებითა და აუდიოვიზუალური მასალებით, რომლებიც მუდმივად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პროფესორებისთვის.

აუდიტორიებთან ერთად, არსებობს საკონფერენციო დარბაზები და ფაკულტეტის ოფისები. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა და საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის მასალები ელექტრონულ ფორმატში. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას ელექტრონულ კატალოგთან, Openbiblio, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე. აღნიშნული კატალოგი საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მოძებნონ ხელმისაწვდომი ლიტერატურა, შეამოწმონ გაცემული და დარჩენილი ასლების რაოდენობა და დაინახონ, თუ რა ფორმატში არის ხელმისაწვდომი ერთეული - ბეჭდურ, ელექტრონულ თუ ორივე ფორმატში. ელექტრონული კატალოგის გამოყენების ინსტრუქციები ხელმისაწვდომია. დამატებით, უნივერსიტეტი სთავაზობს წვდომას რამდენიმე საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე EIFL- ის (ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის) მეშვეობით, მათ შორის: Cambridge Core; Elgaronline; The Royal Society Journals; SAGE Journals და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამები ხორციელდება ქართულ ენაზე, სასურველია უზრუნველყოთ უფრო განახლებული წიგნები ინგლისურ ენაზე.

გარდა ამისა, დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად, რომელზეც ყოველდღიურად წვდომა აქვთ სტუდენტებს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს.

მთლიანობაში, არსებული ინფრასტრუქტურა და რესურსები სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს. უნივერსიტეტის მიმდინარე ინვესტიციები საშუალებებისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესებაში, ბიბლიოთეკისა და IT სისტემების ფართო მხარდაჭერასთან ერთად, ხელს უწყობს ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფინანსები- სამაგისტრო პროგამა)

ზემოთ აღწერილი მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსები, რომლებიც არსებითია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო შედეგების მიღწევისათვის, ეფექტურად იქნება გამოყენებული ფინანსების სამაგისტრო პროგრამისთვის.

ბიბლიოთეკაში ინახება სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა, აგრეთვე სხვა სასწავლო მასალები, მათ შორის ელექტრონული რესურსები, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან და იციან, როგორ მოიძიონ ლიტერატურა და ონლაინ რესურსები. სასურველია, მოხდეს თანამედროვე სავალდებულო ინგლისურენოვანი წიგნების დამატება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა აღრიცხვა და აუდიტი)

ზემოთ აღწერილი მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსები, რომლებიც არსებითია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო შედეგების მიღწევისათვის, ეფექტურად იქნება გამოყენებული აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამისთვის.

ბიბლიოთეკაში ინახება სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა, აგრეთვე სხვა სასწავლო მასალები, მათ შორის ელექტრონული რესურსები, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობის

მიზნით.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან და იციან, როგორ მოიძიონ ლიტერატურა და ონლაინ რესურსები. სასურველია, მოხდეს თანამედროვე სავალდებულო ინგლისურენოვანი წიგნების დამატება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი და გასაუბრების შედეგები;
- ბიბლიოთეკა და ციფრული რესურსები
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურასთან შესაბამისობა.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, ბიბლიოთეკის რესურსები რეგულარულად განახლდეს ახალი გამოცემებით, მათ შორის საერთაშორისო გამოცემებით, რაც პროგრამას შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით უზრუნველყოფს.

შეფასება

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

4.5.პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასებისთვის წარმოდგენილი პროგრამების ანალიზი ავლენს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრუქტურირებულ მიდგომას ფინანსური მართვისა და მდგრადობის მიმართ. ფაკულტეტისთვის გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერა მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, როგორიცაა პერსონალის ანაზღაურება, სასწავლო და სამეცნიერო ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის წამახალისებელი შესაძლებლობები და სამეცნიერო აქტივობების ხარჯები ცალკე, სასტიპენდიო

შესაძლებლობები, სასწავლო პროცესის პირდაპირი ხარჯები, ასევე სხვა შესაბამისი არაპირდაპირი რესურსები.

უნივერსიტეტის შემოსავლები ძირითადად სწავლის საფასურიდან მიიღება. ვინაიდან პროგრამებს არ ჰყავთ სტუდენტების საკმარისი რაოდენობა, ხოლო ისინი სტრატეგიული მნიშვნელობისაა დაწესებულებისთვის, უნივერსიტეტი საჭიროების შემთხვევაში ცენტრალური ბიუჯეტის სახსრებიდან უზრუნველყოფს ფაკულტეტისა და პროგრამის შესაბამის ხარჯებს. ეს მრავალმხრივი განაწილება, მათ შორის ყოველწლიური კორექტირებები ფაკულტეტის ცვალებადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, აჩვენებს, რომ უნივერსიტეტი ცდილობს ფინანსური რესურსები საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანოს. შესაბამისად, ბიუჯეტიდან პროგრამისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფა ფინანსურად შესაძლებელია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სამაგისტრო პროგრამა ფინანსები)

ფაკულტეტის ბიუჯეტის გარდა, ფინანსების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია 2023- 2024 აკადემიური წლის პროგრამული ბიუჯეტით და შესაბამისი ხარჯები ხორციელდება ზემოაღნიშნული დოკუმენტისა და უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების შესაბამისად. პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს სტუდენტებისა და პერსონალისთვის საჭირო რესურსებს, კერძოდ:

- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება - 1,000 ლარი;
- ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება - 1,000 ლარი;
- აფილირებული პერსონალის სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის დაფინანსება - 16,500 ლარი;
- სტუდენტური კონფერენციები - 750 ლარი, სხვა სტუდენტური აქტივობები - 875 ლარი;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები - 625 ლარი;
- მატერიალურ- ტექნიკური ბაზის განახლება - 1,000 ლარი;
- საბიბლიოთეკო ფონდი: წიგნადი ფონდი და ელექტრონულ ბაზებზე წვდომა - 2,000 ლარი;
- პროგრამის განმახორციელებელი არაადგილობრივი პერსონალის სატრანსპორტო და სასტუმროს ხარჯები - 1,000 ლარი.

ზემოაღნიშნული ძირითადი ხარჯების გარდა, "გაუთვალისწინებელი ხარჯების" დასაფარად ასევე განსაზღვრულია 2,000 ლარი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა აღრიცხვა და აუდიტი)

ფაკულტეტის ბიუჯეტის გარდა, აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია 2023-2024 აკადემიური წლის პროგრამული ბიუჯეტით და შესაბამისი ხარჯები ხორციელდება ზემოაღნიშნული დოკუმენტისა და უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების შესაბამისად. პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს სტუდენტებისა და პერსონალისთვის საჭირო რესურსებს, კერძოდ:

- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება - 1,000 ლარი;
- ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება - 1,000 ლარი;
- აფილირებული პერსონალის სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის დაფინანსება - 9,500 ლარი;
- სტუდენტური კონფერენციები - 750 ლარი, სხვა სტუდენტური აქტივობები - 875 ლარი;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები - 625 ლარი;
- მატერიალურ- ტექნიკური ბაზის განახლება - 1,000 ლარი;
- საბიბლიოთეკო ფონდი: წიგნადი ფონდი და ელექტრონულ ბაზებზე წვდომა - 2,000 ლარი;

- პროგრამის განმახორციელებელი არაადგილობრივი პერსონალის სატრანსპორტო და სასტუმროს ხარჯები - 1,000 ლარი.

ზემოაღნიშნული ძირითადი ხარჯების გარდა, "გაუთვალისწინებელი ხარჯების" დასაფარად ასევე განსაზღვრულია 2,000 ლარი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში.
- o პროგრამების, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- o ინტერვიუების შედეგები

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არა არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სამაგისტრო პროგრამა ფინანსები, II საფეხური)	☐	■	☐	☐
პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა აღრიცხვა და აუდიტი, II საფეხური)	☐	■	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრულია "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებითა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურებით". ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს სისტემურ გამოკითხვებს, სასწავლო გეგმის, მომსხურებებისა და რესურსების შეფასებებს. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მიმართულია უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა ძირითადი პროცესის შესაფასებლად: სწავლა და სწავლება, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისები, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამები, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და სასწავლო პროცესში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი; კვლევისა და მართვის ეფექტიანობის შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორიენტირებულია ყოველწლიურ გამოკითხვებზე, რომელიც მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს, ვინც აანალიზებს შეფასების შედეგებს, რითაც ინარჩუნებს ეფექტურ მონიტორინგს, ადგენს მიზნებს და აყალიბებს განვითარების ტენდენციებს.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება PDCA - "დაგეგმე-განახორციელე- შეამოწმე- იმოქმედე" პრინციპს. პროცესი გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. ამგვარად, უნივერსიტეტი პრიორიტეტად მიიჩნევს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობას შიდა ხარისხის შეფასების პროცესში. პროგრამის განვითარების პროცესი ეფუძნება კომპლექსურ ანალიზსა და შეფასებას და საბოლოო პროგრამა მტკიცდება შემდეგი ეტაპების გავლით: პირველ რიგში, პროგრამას განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელები და შესაბამისი კომიტეტები; შემდეგ პროგრამა განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, პროგრამის მონიტორინგი გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და იგი საბოლოოდ დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის მმართველ საბჭოს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის შეფასება უნივერსიტეტში თანმიმდევრულია და შეფასების შედეგები ზოგადად გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს და ხელს უწყობს პროგრამის პერსონალის ჩართულობას, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის კონსტრუქციულობას, შესაბამისად, პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მომზადებულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. დამსაქმებლები უშუალოდ არ ყოფილან ჩართულნი პროგრამის განვითარების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ელექტრონული ფოსტით უზიარებს ინფორმაციას დამსაქმებლებს და აგროვებს უკუკავშირს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს სტრატეგია, რომელიც გაზრდის

დამსაქმებელთა ჩართულობას პროგრამების განვითარების პროცესში.

ხარისხის შიდა შეფასების პროცესში გამოიყენება საჭიროებასა და აუცილებლობაზე დაფუძნებული შეფასების გამოკითხვები, რათა მიზანმიმართულად გამოვლინდეს პრობლემები და უზრუნველყოფილი იყოს ჩარევა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ეს გამოკითხვები მიმართულია სტუდენტების საჭიროებებისა და სურვილების გამოვლენისკენ, ასევე, სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების ყოველწლიური გამოკითხვები ტარდება პროგრამის ზოგადი ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა
- გამოკითხვის ფორმა და შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების ანალიზი და გამოყენება შემდგომი განვითარებისთვის
- პროგრამის შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ
- გასაუბრებების შედეგები

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს სტრატეგია პროგრამების თვითშეფასების და განვითარების პროცესში დამსაქმებლების ჩართულობის გასაზრდელად.

შეფასება

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტში ხარისხის გარე უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება აკრედიტაციისა და

ავტორიზაციის პროცესების გზით, რასაც ატარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE). უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს და მიგნებები წარედგინება პროგრამების ხელმძღვანელებსა და კომიტეტებს შემდგომი განხილვისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს გატარებული ღონისძიებების შესაბამისობას მიღებულ რეკომენდაციებთან. დაწესებულება ასევე იყენებს გარე ინსტიტუციურ შეფასებას და პროგრამებს კოლეგიალურად აფასებენ ადგილობრივი და/ ან საერთაშორისო ექსპერტები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სამაგისტრო პროგამა „ფინანსები“)

ფინანსების სამაგისტრო პროგრამა შეაფასეს გარე ექსპერტებმა. პროგრამა შეაფასა ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დარგის ექსპერტმა და პროფესორმა, და შპს "ქისთოუნ ინვესთმენთის" დარგის წარმომადგენლმა საქართველოდან. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და გასაუბრებების შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამის გუნდი თანამშრომლობდა ექსპერტებთან და ისინი ჩართულნი იყვნენ პროგრამის განვითარების შესაძლებლობების განხილვაში, რაც ასევე განიხილეს თვითშეფასების გუნდის სამუშაო პროცესში. ექსპერტებმა ძლიერ მხარეებად გამოყვეს პროგრამის კარგად განსაზღვრული სწავლის შედეგები და სტრუქტურა, რაც სტუდენტებს აძლევს მყარ ცოდნასა და უნარებს ფინანსების სფეროში. მათ ასევე წარმოადგინეს გარკვეული მიგნებები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის, პროგრამის გუნდმა და კომიტეტმა დაადასტურეს, რომ ეს მიგნებები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის განვითარებაზე მუშაობისას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა „აღრიცხვა და აუდიტი“)

„აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო პროგრამა შეაფასეს გარე ექსპერტებმა. პროგრამა შეაფასა ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტისა და სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარგის ექსპერტმა და პროფესორმა. წარმოდგენილმა

დოკუმენტაციამ და გასაუბრებების შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამის გუნდი თანამშრომლობდა ექსპერტებთან და ისინი ჩართულნი იყვნენ პროგრამის განვითარების შესაძლებლობების განხილვაში, რაც ასევე განიხილეს თვითშეფასების გუნდის სამუშაო პროცესში. ექსპერტებმა ძლიერ მხარეებად გამოყვეს პროგრამის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს აუცილებელ კურსებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და შრომის ბაზრის კონსკრეტული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მათ ასევე წარმოადგინეს გარკვეული მიგნებები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის, პროგრამის გუნდმა და კომიტეტმა დაადასტურეს, რომ ეს მიგნებები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის განვითარებაზე მუშაობისას. პროგრამამ 2022 წელს გაიარა აკრედიტაცია, შესაბამისად, პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა გამოიყენა და გაითვალისწინა გარე შეფასების შედეგები თვითშეფასების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები

- ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების ანალიზი და გამოყენება შემდგომი განვითარებისთვის
- პროგრამის შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ
- ფინანსების და აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში მონაწილე გარე ექსპერტების დასკვნები
- გასაუბრებების შედეგები

შეფასება

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესში ჩართულნი არიან შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები. პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები წარმოადგენს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის ძირითად ინსტრუმენტებს. ყოველი სავალდებულო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები აფასებენ კურსს კურსის შეფასების ფორმის შევსებით, საჭიროების შემთხვევაში ასევე ეწყობა ფოკუს ჯგუფები. კმაყოფილებისა და საჭიროებების შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გასაუმჯობესებული მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებს შორის და გამოიყენება პროგრამების გაუმჯობესებისთვის.

უსდ- მ დანერგა ურთიერთდასწრების პრაქტიკა, როდესაც შეფასებას ახორციელებენ იმავე ან მონათესავე პროგრამების კოლეგები, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები წინასწარ განსაზღვრული ფორმითა და პროცედურით. შემაჯამებელ შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და უკუკავშირი იგზავნება ელექტრონული ფოსტით. ეს მექანიზმი ხორციელდება არა მხოლოდ ახლად დაქირავებული ლექტორების შემთხვევაში ან როდესაც დაკვირვება აუცილებელია, არამედ კარგი პრაქტიკის დანერგვის მიზნითაც.

ყოველი სემესტრის ბოლოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას, და შემდეგ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეფასების შედეგებს იყენებს საგანმანათლებლო პროცესების გასაუმჯობესებლად. მიუხედავად ამისა, პროგრამების მონიტორინგის შედეგები ვერ გვაძლევს კომპლექსურ მაჩვენებლებს სტუდენტების მცირე რაოდენობის გამო, თუმცა დაწესებულებას აქვს პროგრამის ეფექტურობის შეფასების პრაქტიკა - სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლები გამოიყენება პროგრამის სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ინდიკატორად.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები იზიარებენ ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ინდივიდუალიზმს, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და ქმნის პლატფორმას პროგრამის პერსონალსა და ადგილობრივ/ საერთაშორისო კოლეგებს შორის თანამშრომლობისთვის. პროგრამების გუნდებმა შეისწავლეს სხვადასხვა მსგავსი პროგრამები საქართველოსა და ევროპაში.

ფინანსების სამაგისტრო პროგრამა შეადარეს კავკასიის უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და HEC Paris (პარიზის ბიზნეს სკოლა) შესაბამის და მსგავს პროგრამებთან. ანალიზმა გამოავლინა მნიშვნელოვანი შესაბამისობა აკრედიტებულ მსგავს პროგრამებთან და სასწავლო კურსებთან, ასევე თავსებადობა დარგის მოთხოვნებთან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არის აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამის ზუსტი ანალოგიური პროგრამები, მოხდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონათესავე პროგრამების ანალიზი. საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის მიზნით შეირჩა შემდეგი უნივერსიტეტები, სადაც არის აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამები: აგდერის უნივერსიტეტი, ლუქსემბურგის უნივერსიტეტი, ინსბრუკის უნივერსიტეტი. პროგრამა იზიარებს დარგების ძირითად ტენდენციებს, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების ანალიზი და გამოყენება შემდგომი განვითარებისთვის
- პროგრამის შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ
- ანალოგური პროგრამების ბენჩმარკინგი
- გასაუბრებების შედეგები

შეფასება

კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ("ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობანი:	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არა არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სამაგისტრო პროგრამა ფინანსები, II საფეხური)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა აღრიცხვა და აუდიტი, II საფეხური)	☒	☐	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს ქუთაისის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსები და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აღრიცხვა და აუდიტი

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი **სტანდარტი**	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

	შესაბამისობა				
პროგრამა 1 (ფინანსები, II საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (აღრიცხვა და აუდიტი, II საფეხური)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

პროფ. დაივა იურევიჩიენე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

პროფ. ელენე ჯღარკავა, პროფ.

დავით სიხარულიძე, პროფ.

თამთა ცხოვრებაძე

ანჟელა აბულაძე